

# ნარპოვითარება საქართველოში

# 2012

## ცლიური ანგარიში

გამოცემულია ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისის“ მიერ,  
პროექტის „გარდაქმნა აღმოსავლეთში“ ფარგლებში,  
რომელიც ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

## ავტორები

**დარეჯან ჯავახიშვილი**, ფსიქოლოგი, ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“, თბილისი;

**ნინო პალანჩივაძე**, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია, თბილისი;

**ირმა კირთაძე**, ექიმი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია, თბილისი;

**ლელა სტურუა**, ექიმი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტი, თბილისი;

**დავით ოთიაშვილი**, ექიმი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია, თბილისი;

**ტომაშ ზაბრანსკი**, ექიმი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტის ადიქტოლოგის დეპარტამენტი, პრაღა.

## მადლობები:

ავტორები გამოხატავენ მადლიერებას ყველა იმ სამთავრობო და საერთაშორისო, ასევე არასამთავრობო დაწესებებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც მოგვაწოდეს ინფორმაცია პუბლიკაციის მომზადების პროცესში, კერძოდ:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო;

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

ფსიქიური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

საქართველოს უზენაესი სასამართლო;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი;

გაეროს ნარკოტიკებზე და სისხლის სამართლის დანაშაულზე ოფისის პროექტი საქართველოში;

საქართველოში აივ პრევენციის პროექტი;

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი და მისი წევრი ორგანიზაციები;

არასამთავრობო ორგანიზაციები „ბემონი“, „თანადგომა“, „ურანტი“.

პუბლიკაციის შინაარსი ასახავს მისი ავტორების ნააზრევს და არ წარმოადგენს საქართველოს ოფიციალურ პოზიციას

**დიზაინერი:** გიორგი ბაგრატიონი

ISBN 978-9941-0-5129-6

თბილისი, 2012

## შინაარსი

1. ინფორმაცია საქართველოზე.....	4
2. ნარკოტიკების მოხმარება ქვეყნის მოსახლეობასა და ახალგაზრდებში .....	4
2.1. მოხმარება ზოგად პოპულაციაში.....	4
2.2. მოხმარება ახალგაზრდებში.....	5
3. ნარკოტიკების პრობლემური მოხმარება .....	6
3.1. პრობლემური მოხმარების პრევალენტობა.....	6
3.2. სხვადასხვა ნარკოტიკის მოხმარების ტენდენციები.....	6
3.3. პრობლემური მოხმარება განსაკუთრებული რისკის პოპულაციებში .....	7
4. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები .....	9
4.1. აივ ინფექცია/შიდსი .....	9
4.2. ვირუსული ჰეპატიტები .....	11
5. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობა .....	12
6. მოთხოვნა მკურნალობაზე .....	12
7. პრევენცია .....	14
8. მკურნალობის შესაძლებლობები.....	15
8.1. აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობა .....	15
8.2. ჩანაცვლებითი თერაპია .....	15
9. ზიანის შემცირება.....	16
10. შავი ბაზარი და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული .....	17
11. ნარკოკანონმდებლობა .....	19
12. დაძლევის ეროვნული სტრატეგიები.....	20
13. კოორდინაცია .....	22
14. განსაკუთრებული თემა: ნარკოპოლიტიკის ეკონომიკური ასპექტები.....	22
14.1. ნემსების/შპრიცების გაცვლის/დარიგების პროგრამის ხარჯთევექტურობა საქართველოში .....	23
14.2. რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტიკესტირება.....	24
14.3. აივ-ის პრევენციისთვის მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის ხარჯის შეფასება საქართველოში .....	24
აბრევიატურების ჩამონათვალი .....	25
ბიბლიოგრაფია .....	26

## 1. ინფორმაცია საქართველოზე

ცხრილი 1: 2012 წლის ზოგადი მონაცემები ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge))

ინდიკატორი	წელი	საქართველო	წყარო
ზედაპირი	2011	69,700 კვ კმ	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
მოსახლეობა	2011	4,497.6 მ	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
მშპ <sup>1</sup> ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში <sup>2</sup>	2011	5,447.1 ლარი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
უმუშევრობა <sup>3</sup>	2011	15.1%	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ციხის პოპულაცია <sup>4</sup>	2011	524	ციხის შესწავლის საერთაშორისო ცენტრი

- 1 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელია. ის განისაზღვრება, როგორც ყველა ნარმოებული საქონლისა და სერვისის ღირებლებას გამოიკვებული მათი ნარმოებისთვის გახარჯული ნებისმიერი საქონლისა და სერვისის ღირებულება.
- 2 მსყიდველობითი სტანდარტი
- 3 უმუშევრობის მაჩვენებელი ასახავს ქვეყანაში არსებული სამუშაოს ძალის იმ ნაწილს, რომელიც დაუსაქმებელია. უმუშევარი პირები ნარმოადგენენ 14-დან 74 წლამდე ასაკის პირებს, ვინც: ა. არ არის დასაქმებული იმ დროისთვის, როდესაც კვლევა მიმდინარეობდა; ბ. მზად არიან იმუშაონ; გ. აქტიურად ექცენ სამსახურს.
- 4 ციხის პოპულაცია 100.000 სულ მოსახლეზე.



დიაგრამა 1: საქართველოს რუკა

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც, ისტორიულად, აზიისა და ევროპის შემაერთებელი სავაჭრო გზა გადის. ქვეყანა შედგება 11 რეგიონისგან. საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მოსახლეობა, 2012 წლის მონაცემებით, მილიონ ორას ათას მოსახლეზე მეტია. ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: ქუთაისი (241,100) რუსთავი (158,000), ბათუმი (137,100), ზუგდიდი (105,000), ჭიათურა (70,000), გორი (70,000) და ფოთი (50,900). საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის რეგიონში – ქართული და აფხაზური. ქვეყნის მოსახლეობის 83.9% (2002 წლის მონაცემი) ორთოდოქსი ქრისტიანია; რელიგიურ უმცირესობებს ნარმოადგენენ: მუსლიმები, სომები გრიგორი-

ანელები, კათოლიკები, ბაპტისტები, იუდეველი ებრაელები და სხვა. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წიგნიერია.

საქართველო 1990 წლიდან არის დამოუკიდებელი საპრეზიდენტო რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქვეყანა განიცდის გახანგრძლივებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ კრიზისს. რუსეთის ჩარევით მიმდინარე გახანგრძლივებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები აფხაზებთან და ოსებთან, 2008 წლის აგვისტოში ქართულ-რუსული ომით დაგვირგვინდა. ამჟამად, როგორც აფხაზეთი, ასევე სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის ჯარებით და ფაქტობრივად, მოჭრილია ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიიდან, სადაც თავი შეაფარა ოკუპირებული რეგიონებიდან გადმოსულმა დაახლოებით 288,000 დევნილმა. უკონტროლო საზღვრები ოკუპირებულ რეგიონებში, საბჭოთა დიქტატურის ნგრევის შემდგომ შერბილებული პოლიტიკური რეჟიმი და გახანგრძლივებული კრიზისი ამძიმებს ქვეყნის ნარკოვითარებას.

## 2. ნარკოტიკების მოხარება ქვეყნის მოსახლეობასა და ახალგაზრდები

### 2.1 მოხმარება ზოგად პოპულაციაში

ზოგადი პოპულაციის კვლევა საქართველოში არასდროს ჩატარებულა. ამდენად, ჩვენ ვერ ვფლობთ სანდო მონაცემებს ქვეყნის მოსახლეობის მიერ ნარკოტიკული საშუალებე-

ბის მოხმარების მასშტაბსა და სტერეოტიპებზე. თუმცა, 2012 წელს, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაცია GORBI<sup>1</sup>-მ დანაშაულისა და უსაფრთხოების ეროვნულ კვლევაში<sup>2</sup> ნარკოტიკებთან დაკავშირებული რამდენიმე შეკითხვაც შეიტანა. ეს შეკითხვები არ იყო ფორმულირებული იმ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რაც, ჩვეულებრივ, ნარკოტიკების საკითხზე ზოგადი პოპულაციის კვლევაში გამოიყენება ხოლმე (EMCDDA, 2002, SAMHSA 2011). აქედან გამომდინარე, კვლევის ნარკოტიკებთან დაკავშირებული ასპექტების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშა; ამასთან, კვლევა არ იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ რაიმე ღირებული დასკვნები ისეთ საკვანძო ეპიდემიოლოგიურ ცვლადებზე, როგორიცაა არალეგალური ნარკოტიკული საშუალების ე.ნ. ცხოვრებაში სულ ცოტა ერთხელ მაინც მოხმარების მასშტაბი, ან ექსპერიმენტული თუ რეგულარული მოხმარების გავრცელება. ნარკოეპიდემიოლოგიისთვის არასტანდარტული შეკითხვა, რომელიც კვლევამ დასვა, შემდეგნაირად უდერს: „უკანასკნელი 12 თვის მანძილზე რამდეჯერ შეხებიხართ ნარკოტიკების პრობლემას“, რაზეც დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 9.2%-მა, რომელთაგან 1.8%-მა – უპასუხა „ხშირად“, 3.4%-მა – „ზოგჯერ“ და 4%-მა – „იშვითად“ (GORBI, 2012).

## 2.2 მოხმარება ახალგაზრდებში


ეროვნული მასშტაბის სასკოლო გამოკითხვა საქართველოში არასდროს ჩატარებულა. 90-იანი წლების ბოლოდან, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ამჟამად, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი) 2-3 წელიწადში ერთხელ ატარებდა თბილისის საჯარო სკოლების მოზარდთა გამოკითხვას „ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკების ევროპის სასკოლო გამოკითხვის“ (ESPAD) მეთოდოლოგიით<sup>3</sup>, ამ მეთოდის სტანდარტებიდან ერთგვარი გადახვევით (თოდაძე, 2004).

1 Georgian Opinion Research Business International – საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის საერთაშორისო ბიზნესი

2 მეთოდოლოგია დაფუძნებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლთა საერთაშორისო გამოკითხვაზე (International Crime Victims Survey (Mayhew, 1997)

3 European School Project on Alcohol and Other Drugs – ESPAD გამოკითხვა, რომელიც რეკომენდებულია ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის მიერ და რეგულარულად ტარდება მსოფლიოს 39 ქვეყანაში (www.espad.org).

პირველად, ESPAD სტანდარტების სრული დაცვით, სასკოლო გამოკითხვა ჩატარდა 2009 წელს, ევროკავშირისა და გაეროს სამხრეთ კავკასიის ანგინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ (Baramidze & Sturua, 2009). კვლევამ მოიცვა მხოლოდ თბილისის ახალგაზრდები და ამდენად, მის რეზულტატებს ვერ განვაზოგადებთ ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. გამოკითხულ იქნა თბილისის საჯარო სკოლების 384 მოსწავლე, საშუალოდ 16 წლის ასაკის. გამოკითხულთა 17%-მა მიუთითა მარიხუანას მოხმარება, სულ ცოტა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც. ექსტაზის მოხმარება ცხოვრებაში ერთხელ მაინც აღიარა გამოკითხულ მოზარდთა 7.5%-მა; ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების მოხმარება 2%-მა მიუთითა; ცხოვრებაში ერთხელ მაინც კრეკ-კოკაინის მოხმარება – 1.1%-მა, ჰეროინის მოხმარება – 1%-მა; კოკაინის ფხვნილის მოხმარება – 0.6%-მა, ამ უკანასკნელის ანალოგიური იყო GHB-სა და ანაბოლიკური სტეროიდების მოხმარება. ამა თუ იმ არალეგალური ნარკოტიკული საშუალების ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოხმარება მთლიანობაში გამოკითხულთა 20%-მა (აქედან: მამრობითი სქესის – 33%, მდედრობითისა – 8%) მიუთითა. შედეგების სტატისტიკური შეცდომის მაჩვენებელი (ზღვარი) არის ±5%. რამდენადაც ჩვენ არა გვაქვს სხვა წლების ანალოგიური შედეგები, არალეგალური ნარკოტიკების მოხმარების დინამიკას ახალგაზრდებში ვერ გავზომავთ; მაგრამ თუ ამ ციფრებს შევადარებთ ESPAD-ის სხვა ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, ისინი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთისგან:



დიაგრამა 2: ცხოვრებაში ერთხელ მაინც არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება ESPAD ქვეყნების 15-16 წლის ასაკის მოზარდებში, წლების მიხედვით ([http://www.espad.org/Uploads/ESPAD\\_reports/2011/The\\_2011\\_ESPAD\\_Report\\_FULL\\_2012\\_06-08.pdf](http://www.espad.org/Uploads/ESPAD_reports/2011/The_2011_ESPAD_Report_FULL_2012_06-08.pdf)) და თბილისის 16 წლის მოზარდების 2009 წლის მაჩვენებლები

2012 წელს, აივ პრევენციის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა ახალგაზრდათა ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა, რომელიც აივ-შიდსის მიმართ მოზარდების ცოდნას, განწყობებსა და ქცევას შეისწავლიდა<sup>4</sup> (Tabatadze, 2012). კვლევაში გამოყენებულ იქნა სამი სხვადასხვა კითხვარის კომბინაცია: ქცევითი ზედამხედველობის კითხვარი განსაკუთრებული რისკის პოპულაციებისთვის<sup>5</sup>, ESPAD კითხვარი და აივ-შიდს მიძღვნილი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის (UNGASS) ინდიკატორების შემცველი კითხვარი. გამოკითხულ იქნა საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტები 15-დან 24 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში. მთლიანობაში, დამუშავებას დაქცევმდებარა 1,879 კითხვარი. მარიხუანას ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოხმარება მიუთითა გამოკითხულთა 10.4%-მა, ექსტაზისა – 3.4%-მა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე 2009 წლის ESPAD გამოკითხვის შედეგად მიღებული მაჩვენებლები, ამ ორი კვლევის რეზულტატების შედარება არ იქნება მართებული, რამდენადაც მათ კვლევის განსხვავებული და შესაბამისად, შესაბამისად შეუფერებელი მეთოდოლოგია აქვთ.

### 3. ნარკოტიკული საშუალებების პრობლემური მოხმარება

#### 3.1. პრობლემური მოხმარების პრევალურნტობა

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების პრობლემური მოხმარების<sup>6</sup> მასშტაბის შეფასება, ტრადიციულად, ეფუძნებოდა გაზვიადებულ შეხედულებებს, ბუნდოვან დეფინიციებსა და დაუდგენელ ავტორებს, ანუ მითოლოგიზებული იყო. ამგვარი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი მონაცემები ფართოდ გამოიყენებოდა ხოლმე მასმედიისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ. სიტუაციის რეალისტური

4 პროექტი დაფინანსებულია ამერიკის განვითარების საჯენტოს მიერ. USAID funded Georgia HIV Prevention Project (GHPP), 2012.

5 საერთაშორისო ფონდი კურაციო (გამოუქეყენებელი ნაშრომი). განსაკუთრებული რისკის პოპულაციების ქცევითი ზედამხედველობის გამოყოთვის ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია, გლობალური ფონდის პროექტები საქართველოში, თბილისი.

6 საქართველოში ნარკოტიკული პრობლემური მოხმარება გაიგვებულია ინექციურ მოხმარებასთან, თუმცა EMCDDA-ის განმარტებით პრობლემური მოხმარება არის „ოპიოიდების, კოკაინის და, ან ამფეტამინების ინტრავენური მოხმარება, ან სანვრძლივი პერიოდის განმავლობაში/რეგულარული მოხმრება“. (EMCDDA. 2009. An overview of the problem drug use (PDU) key indicator, <http://www.emcdda.europa.eu/publications/methods/pdu-overview>)

შეფასებისთვის, 2009 წელს, სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა პრევალურნტობის განმსაზღვრელი კვლევა მამრავლი კოეფიციენტის გამოყენებით (Multiplier/Benchmark-ის მეთოდი) (სირბილაძე, 2010). მოცემული კვლევის შემდგომ, ქვეყნის აივ/შიდსის საკოორდინაციო მექანიზმის მიერ, ორგანიზებულ იქნა შეხვედრა პრობლემური მოხმარების პრევალურნტობაზე საექსპერტო კონსენსუსის მისაღწევად. პრევალურნტობის განმსაზღვრელი სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით, ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა რაოდენობა დაახლოებით 40,000 (95% CI: 39,000-41,000), ანუ პრევალურნტობა 15-64 წლის მოსახლეების 1.5%-ს (1.48%-1.52%) შეადგენს (სირბილაძე, 2010).

#### 3.2. სხვადასხვა ნარკოტიკის მოხმარების ტენდენციები

სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ტენდენციების თვალსაზრისით, საქართველოში, შემდეგი დინამიკა შეინიშნება:

90-იანი წლების დასაწყისიდან შავ ბაზარზე პრევალირებდა აცეტილინებული ოპიუმი (ე.წ. „შავი“). ოთხმოცდაათიანების ბოლოდან 2003-2004 წლებამდე თანდათანობით იზრდებოდა ჰეროინის ხვედრითი წილი. 2003 წელს გარკვეული ჰერიონდით წამყვანი ადგილი დაიკავა საკონდიტრო დანიშნულების ყაყაჩოს თესლიდან დამზადებული კუსტარული ოპიონდის გამოყენებამ (გამყრელიძე და სხვ., 2004). 2004-2008 წლებში ფართოდ გავრცელდა ეპროპის სხვადასხვა ქვეყნიდან არალეგალურად იმპორტირებული ბუპრენორფინის შემცველი სუბუტექს<sup>7</sup>-ის აბებიდან მომზადებული საინექციო ნარკოტიკი<sup>7</sup>.

2008-2009 წლებში დაიწყო კუსტარულად დამზადებული სტიმულატორების გამოყენება, რომელიც მზადდება ფსევდო/ეფედრინის ან ფენილპროპანოლამინის შემცველი ხველებისა და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატებისგან, რომელთა ყიდვაც შეიძლება ურეცეპტორ ქვეყნის აფთიაქებში (ოთიაშვილი, 2008; კირთაძე, 2008). დამზადების საბოლოო პროდუქტებია ამფეტამინი და მეტამფეტამინი (ქუჩის დასახელება „ვინტი“: ხანგრძლივი მოქმედების სტიმულატორი, რომელიც მიიღება ფსევდო/ეფედ-

7 სუბუტექს<sup>7</sup> ჩანაცვლებითი მეურნალობისთვის დარეგისტრირდა საქართველოში 2010 წლიდან.

რინის უანგვის გზით) ან მეთვათინონი (ქუჩის დასახელება „ჯეფი“: ხანმოკლე მოქმედების სტიმულატორი, რომელიც მიიღება ფსევდო/ეფედრინის უანგვის გზით).

2011 წლიდან, იოლად ხელმისაწვდომი კუსტარულმა საინექციო საშუალებების სპექტრს შეემატა კოდეინის შემცველი კუსტარული ოპიო-იდი, ე.წ. „ნიანგი“ (სიხარულიძე, 2012; ვადაჭკურია, 2012). პროფესიულ თემში არ არსებობს კონსენსუსი საბოლოო საინექციო პროდუქტის ქიმიური შემადგენლობის შესახებ, თუმცა მასში დეზომორფინის არსებობა ექსპერტებში ეჭვს არ იწვევს (წულაია, 2012).

საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში, კუსტარულად დამზადებული სტიმულატორების მოხმარება ასოცირებულია სერიოზულ ნევროლოგიურ დარღვევებთან (პარკინსონისმაგვარი სინდრომი) და ხშირად, შეუქცევად ორგანულ დაზიანებებთან, რომელსაც, სავარაუდოდ, შეაქვს წვლილი ინვალიდობასა და სიკვდილობაში (Sikk, 2007).

სამკურნალო და ზიანის შემცირების დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „ნიანგის“ მოხმარებით გამოწვეული ზედოზირების რისკი საკმაოდ მაღალია; შესაბამისად, ზიანის შემცირების პროგრამები ნალოქსონზე გაზარდილ<sup>8</sup> მოთხოვნას აღნიშნავენ.

ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში განხორციელდა პრობლემურ მოხმარებელთა ორი გამოკვლევა: პირველი – 2008 წელს (კირთაძე, 2008) და მეორე – 2011 წელს (ზშქ, 2011). ამ ორი კვლევის შედეგის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში 2011 წლისთვის იმატა სედაციური საშუალებების მოხმარებამ. 2011 წლის კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ნარკოტიკების 202 ინექციურ მომხმარებელში გამოვლინდა შემდეგი სურათი: 90.1%-მა აღნიშნა სედაციური საშუალებების მოხმარება, 89%-მა – დეზომორფინისა („ნიანგის“), 82.10%-მა – კუსტარული სტიმულატორებისა, 83%-მა აღიარა ნარკოტიკებთან ერთად, ალკოჰოლის მოხმარებაც (ზშქ, 2011).

ბოლო წლებში, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ჰეროინისა და სუბუტექს<sup>9</sup>-ის ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. ზიანის შემცირების პროგრამების მიერ მოწოდებული

ინფორმაციის თანახმად (კირთაძე, 2012), თბილისში, შავ ბაზარზე ოპიუმის<sup>9</sup> (ე.წ. „შავი“) ერთი „ჩეკი“ 150 აშშ დოლარი ღირს (დაახლოებით 225 ლარი); ჰეროინიც იგივე ღირებულებისაა, მხოლოდ შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომი; ხოლო სუბუტექს<sup>9</sup>-ის ერთი ტაბლეტი (8 მილიგრამი) 350 აშშ დოლარი (570 ლარი) ღირს. ამასთან შედარებით, საგრძნობლად დაბალია კუსტარულად დამზადებული სტიმულატორებისა და ოპიოდების ფასები: მაგალითად, ერთი დოზა „ნიანგი“ შესაძლოა 10-დან 25 ლარამდე ღირდეს, იმის მიხედვით, თუ რომელი პრეპარატისგანაა დამზადებული. ერთი დოზა „ჯეფის“ ან „ვინტის“ ღირებულებაც 20 ლარს არ აღემატება. შესაბამისად, ადვილი ასახსნელია, თუ რატომ გადავიდა მომხმარებელთა დიდი ნაწილი ჰეროინიდან თუ სუბუტექს<sup>9</sup>-იდან შედარებით უფრო ტოქსიკურ და დამაზიანებელ, მაგრამ საგრძნობლად იაფ კუსტარულად დამზადებულ საშუალებებზე. ამ საშუალებათა მზარდი მოხმარება, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია ზედოზირებასთან და სიკვდილობის სხვა მიზეზებთან, და საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

### **3.3. ნარკოტიკების პრობლემური მოხმარება სპეციფიკურ პოპულაციებში**

#### **3.3.1. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ციხის პოპულაციაში**

დასჯაზე ორიენტირებული ნარკოკანონმდებლობისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ შესაბამისი სტრატეგიების განხორციელების შედეგად, უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ციხეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნარკოტიკების მოხმარების ისტორიის მქონე პატიმართა ხედებითი წილი (იხ. თავი „ნარკობაზარი და ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები“).

2004 წელს, სამხრეთ-კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის დაფინანსებით, საქართველოს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ (ამჟამად ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი), საქართველოს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კვლევა, 18-დან 60 წლამდე მამაკაც პატიმრებში (თოდაძე, 2005ა). კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკ-

<sup>8</sup> ოპიოდების ანტაგონისტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ოპიოდებით ზედოზირების პრევენციისთვის;

<sup>9</sup> არალეგალური გაყიდვისოფის, ნარკოტიკული საშუალების კუსტარულად დამზადებული შეფუთვა, რომელიც საშუალოდ 3-4 საინექციო დოზას შეიცავს.

ითხულ პატიმართა 70%-მა მიუთითა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ცხოვრებაში ერთხელ მაინც; მათგან 41%-მა – ნარკოტიკების, ძირითადად, ოპიოდების ინექციური გზით მოხმარება ციხეში; ამ უკანასკნელთა შორის მოხმარების სიხშირები ამგვარად გადანაწილდა: 36%-მა მიუთითა ნელინადში 3-4-ჯერ მოხმარება, 28%-მა – თვეში ერთხელ, 11%-მა – კვირაში ერთხელ, ასევე 11%-მა – კვირაში 2-3ჯერ, ხოლო 14%-მა – ყოველდღიურად. გამოვითხულთა 30%-მა მიუთითა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ბოლო თვეში; 15%-მა მიუთითა, რომ საპატიმროში განიცადა აღკვეთის მდგომარეობა, ხოლო 9%-მ აღნიშნა ზედოზირების ფაქტები. საზიარო შპრიცების მოხმარება რესპონდენტთა 42%-ში დაფიქსირდა (გამყრელიძე და სხვ., 2005).

2011-2012 წლებში საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ უკანასკნელ წლებში სიტუაცია დიამეტრალურად შეიცვლა:

არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომას მიერ 2011 წელს ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ<sup>10</sup>, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სამ პენიტენციურ დაწესებულებაში რანდომულად შერჩეული 300 პატიმარი გამოიკითხა, დაადასტურა, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ ციხეებში, კვლევის ჩატარების დროისთვის, ნარკოტიკი საერთოდ არ შედიოდა. არც ერთ რესპონდენტს არ დაუფიქსირებია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება უკანასკნელი წლის მანძილზე. ამავე დროს, რესპონდენტთა 71%-მა (213 პატიმარი) აღნიშნა ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნარკოტიკული საშუალების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება, ხოლო მათგან 46%-მა (137 პირი) – ნარკოტიკების ინექციური მოხმარება ცხოვრებაში ერთხელ მაინც. იმ რესპონდენტთა 50%-მა, ვინც ინექციურ მოხმარებას აღნიშნავდა, მიუთითა შპრიცებისა და სხვა საინექციო საშუალებების გაზიარების ფაქტები ცხოვრებაში ერთხელ მაინც. რესპონდენტთა 43% (59 პირი) აღნიშნა აღკვეთის მდგომარეობის სიმპტომების განცდა საპატიმროში; ამათგან სამედიცინო დახმარება

მიიღო მხოლოდ 17%-მა (10 პირი). ინექციური ნარკოტიკების მოხმარების ისტორიის მქონე რესპონდენტთა 55%-მა და არაინექციური ნარკოტიკების მოხმარების ისტორიის მქონე 17%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის გადახდილი აქვთ ადმინისტრაციული ჯარიმები (ლომიძე და სხვ., 2012).

ნარკოტიკულ საშუალებათა არარსებობა ციხეებში დასტურდება სხვა წყაროებით და ბოლო დროს ჩატარებული კიდევ ერთი გამოკვლევით (ყვავილაშვილი და ფილაური, 2012). სამართალდამცავთა აზრით, აღნიშნული მიღწეული იქნა პენიტენციურ სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად, რომლის კონკრეტული ღონისძიებები მოიცავდა: პატიმართა და ციხის პერსონალის მკაცრ კონტროლს, მათ შორის საცხოვრებელი ფართის ვიდეო კონტროლს; ციხეში შემავალი თითოეული პირის სავალდებულო შემოწმება-ჩჩრეკას, დაცვის თანამშრომელთა, იურისტთა და დამხმარე პერსონალის ჩათვლით; ვიზიტების აკრძალვას, საკვები პროდუქტების და სხვა ამანათების აკრძალვას, პატიმართა ნათესავებისა და ციხის დაცვის თანამშრომელთა მიერ ციხეში ნარკოტიკული საშუალებების შეტანის მცდელობების სამაგალითო დასჯას, ციხის დაცვის თანამშრომელთა ხელფასების მნიშვნელოვან ზრდას და ა.შ.

ადამიანის უფლებების დამცველთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობა შორის გავრცელდა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ რის ხარჯზე იქნა მიღწეული ნარკოტიკებისაგან თავისუფალი ციხის გარემო. 2012 წლის სექტემბრის ციხის სკანდალმა დაადასტურა ეს ეჭვი. ასევე საეჭვოა – თუ რამდენად მდგრადია ადამიანის უფლებების დარღვევებითა და პატიმართა მიმართ არაჟუმანური მოპყრობით განხორციელებული რეფორმის ეს ერთ-ერთი შედეგი.

### **3.3.2. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება კომერციულ სექსმუშაკთა (კსმ) შორის**

შიდსთან, ტუბერკულიზოთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებით<sup>11</sup>, საერთაშორისო ფონდმა კურაციომ და სამედიცინო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა თანადგომამ 2008-2009 წლებში ჩატარეს კომერ-

<sup>10</sup> კვლევა „საქართველოს ციხეებში ზიანის შემთხვევების პროგრამების (ნარკოტიკების მოხმარება და მასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა, წამალმოხმარების მკურნალობა და რისკის შემცირება) საჭიროებების შესწავლა“ ჩატარებულ პროექტ „ჰემანურობა პირველ რიგში“ ფარგლებში, ჰოლანდიის საგარეო საქმითა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, MATRA პროგრამის ფარგლებში.

<sup>11</sup> პროექტ „აივ ინფექცია/მიდას ეროვნული პროგრამების განხორციელებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზის შექმნა ქვეყანაში აივ ინფექცია/შიდსზე ეპიდზედაშედველობის სისტემის გაძლიერების გზით“ ფარგლებში.

ციული სექს-მუშაკების გამოკვლევა ქცევაზე ზედამხედველობის მეთოდით, ბიომარკერის კომპონენტით, ბათუმსა და თბილისში. თბილისში გამოკითხულ იქნა 160, ხოლო ბათუმში 120 კსმ ქალი. რესპონდენტთა ასაკის მედიანა იყო: თბილისში 36, ხოლო ბათუმში – 35.5 წელი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კსმ-თა ქცევის საკვლევი კითხვარი<sup>12</sup>. კვლევის შედეგების თანახმად, კსმ-თა შორის, ორივე ქალაქში, ალკოჰოლის ყოველდღიურ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი 13%-ს არ აღემატებოდა; არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარება ბათუმში გამოკითხულთა 4.1%-მა აღნიშნა, ხოლო თბილისში ეს მაჩვენებელი ნულის ტოლი აღმოჩნდა. ცხოვრებაში ერთხელ მაინც მარისუანას მოხმარება აღნიშნა თბილისის რესპონდენტთა 10%-მა (16 კსმ) და ბათუმის რეპოსნდენტთა 6.7%-მა (8 კსმ).

გამოკვლეულ კონტინგენტში ალკოჰოლისა და არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ასეთი დაბალი პრევალენტობა შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საკვლევი პოპულაცია იყო აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) პრევენციის პროექტის მუდმივი ბენეფიციარები. შესაბამისად, აღნიშნული შერჩევა არ არის წარმომადგენლობითი, და კვლევის შედეგები საქართველოს მთლიან კსმ პოპულაციაზე განზოგადებული ვერ იქნება. გარდა ამისა, შესაძლოა, გამოკითხულმა ქალატონებმა არ გაამჟღავნეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. განსხვავებით კვლევის შედეგად მიღებული სურათისა, საველ სოციალური სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კომერციულ სექს-მუშაკთა შორის, გასულ წლებთან შედარებით, შეიმჩნევა ინექციური ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ზრდის ტენდენცია (წერეთელი, 2012).

### 3.3.3. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პომოსექსუალური ურთიერთობების ქრონიკური მაკაცებს შორის (მხმ)

2010 წელს, სამედიცინო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა თანადგომა და საერთაშორისო ფონდმა კურაციო ჩაატარეს ქცევაზე


ზედამხედველობის კვლევა მსმ-ებს შორის, ჯვარედინ-სექციური დიზაინითა და რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდოლოგიის გამოყენებით (Heckathorn, 1997). გამოკვლეულ იქნა 278 მამაკაცი; რესპონდენტთა ასაკის მედიანამ შეადგინა – 29 წელი, ასაკობრივი ინტერვალით 18-დან 71-მდე; კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების შესწავლა მსმ-ებს შორის ბოლო 12 თვის განმავლობაში. კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 21.1%-მა (60 პირი) აღნიშნა ნარკოტიკების მოხმარება ბოლო 12 თვის მანძილზე. აქედან, მარისუანას მოხმარება მიუთითა 92%-ზე მეტმა, ხოლო ინექციური ნარკოტიკის მოხმარება – მხოლოდ 4.9%-მა. ინექციური ნარკოტიკებიდან ყველაზე ხშირად დასახელებული იყო ჰეროინი და ბუპრენორფინი. მხოლოდ ერთმა მონაწილემ აღნიშნა კუსტარულად დამზადებული ამფფეტამინის ტიპის ნარკოტიკის („ჯეფი“) ინექციური მოხმარება. რესპონდენტთა 1/3-მა აღნიშნა ბოლო ინექციისას სხვის მიერ ნახმარი შპრიცის გამოყენება (კურაციო, 2010).

## 4. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტი დაავადებები

### 4.1 აივ ინციდენტი/შიდსი


**საქართველოში, 2012 წლის მაისის მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში, რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 3,307 შემთხვევა; მათ შორის, 2,421 (73%) მამაკაცია და 886 (27%) ქალი. პაციენტთა უმრავლესობა დიაგნოსტირებისას 29-დან 40 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში იყო. რეგისტრირებულთაგან, შიდსი განუვითარდა 2,014 პაციენტს, 732 გარდაიცვალა. 2012 წელს გამოვლინდა 366 ახალი შემთხვევა. აივ ინფიცირებულებში ინფექციის გადაცემის მთავარი გზა ნარკოტიკების ინექციური მოხმარებაა (54.9%). ინფექციის გადაცემის გზების განაწილება იხილეთ დიაგრამა 3-ზე.**

<sup>12</sup> განმეორებადი ქცევითი გამოკითხვა აივ რისკის პოპულაციებში, გზამკვლევი, Family Health International.



დიაგრამა 3: აივ ინფექცია/შიდსის განაწილება გადაცემის გზების მიხედვით (შიდსის ცენტრი, 2012)

აივ ინფექციის შემთხვევათა უმრავლესობა კონცენტრირებულია თბილისში (1,093; 9.32/10,000 მოსახლეზე), შემდეგ სამეგრელოს (479; 9.99/10,000), იმერეთისა (428; 6.05/10,000) და აჭარის (404; 10.26/10,000) რეგიონებში.



დიაგრამა 4: აივ ინფიცირებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით (შიდსის ცენტრი, 2012)

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა აივ ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის „აივ ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება“ კომპონენტის განხორციელება დაიწყო 2011 წლის 22 ივლისიდან. სხვა ჯგუფებთან ერთად, კომპონენტი მოიცავდა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების აივ-ინფექცია/შიდსზე კონსულტაციასა და ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით. 2011 წლის 22 ივლისიდან 2012 წლის 1 იანვრამდე აივ ინფექციაზე ტესტირება ჩაუტარდა 1,035 ნარკოტიკის ინექციურ მომხმარებელს, საიდანაც დადასტურდა 2 შემთხვევა. აღნიშნულ პროგრამას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი ახორციელებდა და ბენეფიციართა ძირითადი ნაწილი მეთადონით ჩანაცვლებითი სახელმწიფო პროგრამის მომხმარებელი იყო.

2012 წლისთვის დაგეგმილი იყო კიდევ 1,000 ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლის ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება, თუმცა პროგრამას ამ ეტაპზე ჯერ არ აღიაღენია მოქმედება.


დაავადებათა კონტროლისადასაზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) მონაცემებით 2011 წლის განმავლობაში 424 ახლად გამოვლენილი აივ ინფიცირებულიდან 189 (44.6%) ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია (NCDC 2012).

NCDC-ის აივ ინფექციის ეპიდზედამხედველობის ეროვნული ბაზა (2010), სადაც ხდებოდა ქვეყნის მონაცემთა შეგროვება მხოლოდ 2010 წლის განმავლობაში, გვიჩვენებს, რომ ტესტირებულ ინექციურ ნარკომომხმარებელთა შორის 3.91% (კაცი-3.95% და ქალი-2.08%) აივ-ინფიცირებულია, 25 წელზე უფრო ახალგაზრდებს შორის აივ-ინფექციის გავრცელება 0.32%-ია, ხოლო 25 წელზე უფრო ასაკოვანებს შორის კი – 4.44%. ანტირეტ-

როვირუსული მკურნალობის დაწყებიდან 12 თვის შემდეგ მკურნალობას აგრძელებს პაციენტების 75.19% (75.59% კაცი და 50.0% ქალი); ყველა მათგანის ასაკი აღემატება 25 წელს. ანტირეტროვირუსული მკურნალობის დაწყებიდან 60 თვის შემდეგ (2006 წლიდან) მკურნალობაზე მკურნალობას აგრძელებს პაციენტთა 57%.

საქართველოში, ტრადიციულად, აივ ინფექციის გადაცემის წამყვანი გზა ნარკოტიკების ინექციური მოხმარება იყო (ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში), მას მოჰყვებიდა ჰეტეროსექსუალური გზით გადაცემა. 2002 წლიდან დაიწყო ამ ტენდენციის ცვლილება. შედსის ცენტრის მონაცემთა მიხედვით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ინექციური მოხმარების გზა სტაბილურად 69%-ს შეადგენდა; 2002 წლიდან მისი წილი ინყებს შემცირებას, ხოლო ჰეტეროსექსუალური კონტაქტების წილი კი, პირიქით, იზრდება. 2008 წლისთვის ინექციური მოხმარების როგორც გადაცემის გზის წილი

60%-მდე შემცირდა, ხოლო ჰეტეროსექსუალური კონტაქტების წილი კი 33%-მდე გაიზარდა. 2012 წლის მაისისათვის ამ ორი გზის კუმულაციური წილები შესაბამისად 54.9 და 38.1 პროცენტია (შიდსის ცენტრი, 2012). 2011 წელს ჰეტეროსექსუალური კონტაქტების წილმა ინფექციის გადაცემაში 47.4% შეადგინა, ხოლო ნარკოტიკების ინექციური მოხმარების გზით დაინფიცირებამ კი 44.6% (NCDC-ის გამოუქვეყნებელი მონაცემები). კაცთა 42.6% და ქალთა 57.4% დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტის შედეგად. შედსის ცენტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით, აივ-პოზიტიურ ქალთა 70% ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლის სქესობრივი პარტნიორია (ჩიკოშვილი, 2012). ეს ფაქტი არანაირად არ ამცირებს ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებლებში აივ-ინფექციის პრევენციის მნიშვნელობას, არამედ ხაზს უსვამს ქვეყანაში აივ-ინფექციის გავრცელების პრევენციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის აუცილებლობას.



**დიაგრამა 5:** აივ ინფექციის ახალი შემთხვევები ნარკოტიკების ინფექციური მოხმარებისა და ჰეტეროსექსუალური კონტაქტების გზით (NCDC, 2012)

2008-09 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ბეჭმონის მიერ საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, გორი, თელავი, ზუგდიდი და ბათუმი) 18 წლის და უფროსი ასაკის ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ჩატარდა ბაზისური ჩვევითი ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით (BSS), რომლის მიზანი აივ-ინფექციისა და სიფილისის გავრცელების შესწავლა იყო. გამოყენებულ იქნა რესპონდენტზე დაფუძნებული შერჩევის (Respondent-driven sampling, RDS) მეთოდი. ბიომარკერული კომპონენტი მოიცავდა სისხლის ანალიზს აივ-ინფექციასა და სიფილისზე. სულ გამოკვლეულ იქნა 1127 ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი, საშუალო ასაკით 36 წელი. აივ ინფექციის გავრცელება მერყეობდა რეგიონების მიხედვით: გორი (0%), თელავი (1.5 %, 95% CI 0 - 3.5), ზუგდიდი (2.2%, 95% CI 0 - 3.5), თბილისი (2.5%, 95% CI 0.3 - 5.4), ბათუმი (4.5%,

95% CI 1.5 - 8.0). რაც შეეხება სიფილისს, შემდეგი სურათი იყო: გორი (3.9%, 95% CI 1.1 - 7.3), თელავი (5.5% 95% CI 2.5 - 8.5), თბილისი (6.3%, 95% CI 3.7 - 9.3), ზუგდიდი (6.9%, 95% CI 3.5 - 11) და ბათუმი (7.6%, 95% CI 4.0 - 12.0).

კვლევამ, ასევე, შეაფასა ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებასთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვევები ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით, აივ-ინფიცირების რისკი იზრდებოდა ასაკის მატებასთან, ნარკოტიკების მოხმარების ხანგრძლივობის ზრდასთან და ნასამართლევობასთან ერთად ( $p < 0.05$ ).

#### 4.2 ვირუსული ჰეპატიტები

2011 წელს საქართველოში რეგისტრირებულ იქნა ქრონიკული HBV ინფექციის 1,240

ახალი შემთხვევა და ქრონიკული HCV ინფექციის 1,932 ახალი შემთხვევა (WHO/UNICEF, 2012). HBV/HIV კო-ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა შეადგენდა 27-ს; მათგან, 16 პირი (59%) ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი იყო. HCV/HIV კო-ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა იყო 167, მათგან 130 პირი (78%) ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი იყო. HBV/HCV ორმაგი ინფექცია აივ-დადებით პირებში აღირიცხა 16 პაციენტში და მათგან 12 (75%) იყო ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი (NCDC, 2012, WHO/UNICEF, 2012).

## 5. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და ნარკოტიკების მომხმარებელთა სიკვდილობა

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2007 წლამდე ნარკოტიკების მომხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევების აღრიცხვა საქართველოში შეწყდა. არ არსებობდა ინფორმაცია როგორც ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის, ასევე ნარკოტიკების მომხმარებელთა სიკვდილობის შესახებ. 2004

წელს სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის (SCAD) ფარგლებში ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ფინანსური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი) მიერ განხორციელდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილობის შემსწავლელი რეტროსპექტული კოპორტული გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ეროვნული ნარკოლოგიური რეგისტრისა და მოსახლეობის სიკვდილობის რეგისტრის მონაცემთა შედარება. გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში, 2003 წელს, რეპროდუქციული ასაკის მამაკაც ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებალთა სიკვდილობა (6/1,000 მოსახლეზე) ორჯერ აღემატებოდა ამავე ასაკის არამომხმარებელ მამაკაცთა სიკვდილობის მაჩვენებელს (თოდაძე, 2005).

ლევან სამხარაულის სახელობის საქართველოს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, 2007 წლიდან, განაახლა ქვეყანაში ნარკოტიკების მიზეზით გარდაცვალების აღრიცხვა. 2011 წელს ბიურომ დააფიქსირა ინტოქსიკიის 54 შემთხვევა, რომელთაგან 15 დაკავშირებული იყო ნარკოტიკების ზედოზირებასთან – იხილეთ ცხრილი 2.

	2007	2008	2009	2010	2011
ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევები	39	28	19	მონაცემები არ მოიპოვება	15

ცხრილი 2: ლევან სამხარაულის სახელობის საქართველოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ აღრიცხვული ნარკოტიკების ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით (ზშსქ, 2012), ზედოზირების მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის ქვეყანაში გაცილებით უფრო მაღალია, მაგრამ არაკეთილგანწყობილი სამართლებრივი გარემოსა და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების გამო (მაგალითად, სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ ზედოზირების შემთხვევის შესახებ პოლიაციაში შეტყობინების ვალდებულება), მათი აღრიცხვა და დროული პროფესიული დახმარების განევა არ ხდება, რაც, თავის მხრივ, ზრდის ფატალური ზედოზირების რისკს.

## 6. სამკურნალო სერვისების გამოყენება

სტანდარტები, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში არსებულ ნარკოლოგიურ კლინიკებში ხდება პაციენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, საქართველოში დღეისთვის არ მოიპოვება სანდო და ვალიდური ეპიდინფორმაცია ნამჟურნალევი წამალდამოკიდებული პირების შესახებ.

2011 წელს, ქვეყანაში მოქმედ 4 ნარკოლოგიურ კლინიკაში, სტაციონარული დეტოქსიკაციის კურსი გაიარა სულ 270 პირმა (მათ შორის 2 ქალი). ბემონისა და ურანტის კერძო კლინიკების კუმულაციური მონაცემებით, დეტოქსიკაციური მკურნალობის კურსში ჩატარული პაციენტებისათვის დამოკიდებულების გამომწვევი ძირითადი ნარკოტიკები იყო: ოპიოიდები (60%), სტიმულა-

ტორები (15.6%), და მრავლობითი ნარკოტიკები (ე.წ. „პოლინარკომანიის“ შემთხვევაში), მათ შორის ფსიქოტროპული მედიკამენტები (24,4%).

2011 წლის განმავლობაში ქვეყანაში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებით სარგებლობის სურათი შემდეგია:

შედესთან, ტუბერკულოზთან და მაღარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (GFATM) ოპიოდებით ჩანაცვლებითი პროგრამები თბილისში, ბათუმსა და გორში მოემსახურა 474 პაციენტს (მათ შორის, 367 მამაკაცსა და 7 ქალს);

პენიტენციური სისტემის მე-8-ე და მე-2-ე საპატიმრო დაწესებულებებში მოქმედი გლო-

ბალური ფონდის ოპიოდებით დეტოქსიკაციის პროგრამა მოემსახურა 107 პატიმარს;

სახელმწიფო ჩანაცვლებითი პროგრამა მოემსახურა 1,878 პაციენტს, მათაგან 1,861 მამაკაცსა და 17 ქალს (ჯოხაძე, 2012).

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების დაწყებიდან (2005 წლის ბოლო) დღემდე იკლებს აპსტინენციაზე ორიენტირებულ თერაპიაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა და ამავდროულად, იზრდება ჩანაცვლებითი თერაპიის მოსარგებლეთა რიცხვი:




**დიაგრამა 6: მკურნალობის ეპიზოდების რაოდენობრივი ტენდენციები აპსტინენციაზე ორიენტირებულ და ოპიოდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში, წლების მიხედვით (ფსიქოური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, 2012)**

ზიანის შემცირების პროგრამებით მოცვა საქართველოში კვლავ ძალიან დაბალია, მიუხედავად ამ სერვისების მნიშვნელოვანი გაფართოებისა. „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისათვის აივ-პრევენციის, მკურნალობისა და მზრუნველობის უნივერსალური ხელმისაწვდომობისთვის ქვეყნებში დახმარების სამიზნების დასახვის ტექნიკური გზამკვლევის“ (WHO, 2008) მიხედვით, ნემსების /შპრიცების დრიგება/ გაცვლისა და ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების პროგრამებით მოცვა დაბალია, თუ იგი ინექციურ მომხმარებელთა 20%-ზე ნაკლებია, ხოლო საშუალოა, თუ 20%-დან 60%-მდე ინტერვალშია. იგივე გზამკვლევი გვირჩევს, რომ მაღალი მოცვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ყოველ ნარკოტიკის ინ-

ექციურ მომხმარებელს, ყოველწლიურად, დაურიგდეს 200 და მეტი შპრიცი. არსებული ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ნემსების/შპრიცების პროგრამებით მოცვა აღწევს 10%-ს, ხოლო 2010 წელს ერთ ნიმ-ზე დარიგებული შპრიცების მაქსიმალური რაოდენობა 26 ცალი იყო (იხ. დიაგრამა 7). აქედან გამომდინარე, აივ-პრევენციის ეფექტური და ხარჯთევექტური ინტერვენციები (იხ. თავი 14) ქვეყანაში არ არის სრულად გამოყენებული.


ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ, გამოთვლილ იქნა ქვეყანაში ნემსების/შპრიცების დარიგების მაჩვენებელი. კალკულაცია მოხდა დარიგებული შპრიცების ოდენობის შეფარდებით საქართველოში ნიმ-თა რაოდენობასთან:



დიაგრამა 7: ერთ ნიმ-ზე დარიგებული შპრიცეპის რაოდენობა წლების მიხედვით

ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტე-სტირების სერვისს ქვეყნის მასშტაბით ახორ-ციელებს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (ზშსქ) და საქართველოს აივ/შიდსის

პრევენციის პროგრამა (GHPP). ქვედა დიაგრა-მა გვიჩვენებს ტესტირებული ნიმ-თა საერთო რაოდენობას (ზშსქ და GHPP პროექტების კუმუ-ლაციური მაჩვენებელი):



დიაგრამა 8: საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის (ზშსქ) და საქართველოს აივ/შიდსის პრევენციის პროგრამის (GHPP) მიერ განხორციელებული ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში ტესტირებულ ნიმ-თა რაოდენობა, 2012 (ზშსქ და GHPP, 2012)

## 7. პრევენცია

მიუხედავად რიტორიკისა, როგორც საერთაშორისო დონორები, ასევე სახელმწიფო ტრადიციულად უგულებელყოფენ პირველად პრევენციას. გასული საუკუნის ოთხმოცდაათანი წლებიდან დაიწყო სასკოლო და სათემო პირველადი პრევენციის მოკრძალებული პროექტების განხორციელება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამ ინიციატივების მახასიათებლებია: დაფინანსების სიმწირე, არათანმიმდევრულობა და ფრაგმენტულობა, ხარისხის კონტროლის მექანიზმების არარსებობა. დღესდღეობით პირველადი პრევენცია ან „გაზავებულია“ ჯანსაღი ცხოვრების წესის ზოგად კამპანიებში (ამგვარია, მაგალითად 2011 წელს საქართველოს პირველი ლედის ინიციატივით წამოწყებული “Don't Worry be Healthy” კამპანია), ან „შეპარულია“ აივ-შიდსის პრევენციის პროექტებში

(მაგალითად, ამერიკის განვითარების სააგენტოს დაფინანსებულ საქართველოს აივ-პრევენციის პროექტში), რომლებიც შედარებით უფრო სტაბილურად ფინანსდება საერთაშორისო დონორების მიერ. ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს ნარკოტიკების ავადმოხმარების უნივერსალური, სელექციური და მიზანმიმართული პრევენციის განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.

მიზანმიმართული, სკოლაზე დაფუძნებული პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის ხელშესაწყობად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიმა, პრალის ჩარლზის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, 2012 წელს განახორციელა ევროპის ნარკოტიკების პრევენციის პროგრამის (European Drug Addiction Prevention Trial, EUDAP<sup>13</sup>) პილოტირება, რომლის შედეგებზე

<sup>13</sup> ევროკავშირის ქვეყნებში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე დაწილებით და ლოგიტუდურად შესწავლილი, სასკოლო პრევენციის მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა.

დაყრდნობით 2013 წელს იგეგმება სკოლაზე დაფუძნებული პირველადი პრევენციის ინ-სტიტუციონალიზაციის ლობირება ქვეყნის განათლების სისტემაში.

## 8. მაურნალობის შესაძლებლობები

### 8.1. აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობა

ამჟამად საქართველოში სტაბილურად ფუნქციონირებს წამალდამოკიდებულების მკურნალობის ოთხი სტაციონარული კლინიკა. ამათგან, ერთი მდებარეობს ბათუმში, ხოლო სამი – თბილისში: ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი და ორი კერძო კლინიკა: ურანტი და ბერძონი. ყველა კლინიკაში ერთად არის სულ 60 საწოლი, რომელთა გამტარუნარიანობა შეადგენს წელიწადში 1,000-მდე პაციენტს.

აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობის საფასურის გადახდა, უმეტესწილად, პაციენტის ჯიბიდან ხდება.

მკურნალობის ღია და უმეტესწილად მკურნალობის ბიუჯეტით მიმდინარება შემთხვევიდან, 80 სახელმწიფო პროგრამიდან იყო დაფინანსებული. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის 92-ე დადგენილებით, განისაზღვრა წამალდამოკიდებულების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

<sup>14</sup> 2006 წლამდე, სახელმწიფო ბიუჯეტით, ლიმიტირებული რაოდენობით, ხდებოდა წამალდამოკიდებულების სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება.

№	კომპონენტი	ბიუჯეტი
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია	624,000
2	ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების უზრუნველყოფა	1,310,000
3	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა	817,000
4	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	24,000
	სულ:	2,775,000

ცხრილი: წამალდამოკიდებულების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტები საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის დადგენილების შესაბამისად ([www.matsne.gov](http://www.matsne.gov), 2012).

ქვეყანაში დღეს-დღეისობით არ არსებობს მკურნალობის ეფექტურობის შეფასების ერთიანი შეთანხმებული კრიტერიუმები, მკურნალობის ოქმები და გზამკვლევები. მათი შემუშავება და დანერგვა უახლოესი მომავლის ამოცანაა.

### 8.2. ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობა

მოთხოვნა ოპიოიდებით ჩანაცვლებით მკურნალობასა და დეტოქსიკაციაზე ქვეყანაში გაცილებით მაღალია, აბსტინენციაზე ორიენტირებულ მკურნალობასთან შედარებით (იხ. ზევით დიაგრამა 6). შესაბამისად, იზრდება მისი ხვედრითი წილი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც.

ჩანაცვლებითი თერაპიის პირველი პროგრამა ქვეყანაში 2005 წლის ბოლოს ამოქმედდა, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით. 2012 წლის 1 იანვრისთვის, გლობალური ფონდის დაფინანსებით, ქვეყანაში ფუნქციონირებდა 5 მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრი (სამი თბილისში, ერთი გორსა და ერთიც ბათუმში), რომელთაც აქვთ უნარი მოემსახურონ წელიწადში 450 პაციენტს; გარდა ამისა, მოქმედებს მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამა პენიტენციური სისტემის ორ დაწესებულებაში – თბილისის მკაცრი რეჟიმის მე-8 საპყრობილები 2008 წლის დეკემბრიდან და ქუთაისის მე-2 საპყრობილები 2011 წლის დეკემბრიდან.

შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის დაფი-

ნანსებით, ქვეყანაში მოქმედებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ორი ცენტრი: ერთი – ფსიქიური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ბაზაზე და მეორე – საპატრიარქოსთან არსებულ ანტინარკოტიკულ ცენტრში. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები ემსახურება ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში ჩართულ და აპსტინენციაზე ორიენტირებული თერაპიის პაციენტებს, ასევე რემისიაში მყოფ პირებს, სთავაზობს რა მათ ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ოჯახზე ორიენტირებულ თერაპიებს, ერგო-თერაპიას და არტ-თერაპიას, კომპიუტერულ კლასებს, რელიგიურ აქტივობებს, თანასწორის მიერ თანასწორის მხარდაჭერას და ა.შ. რეაბილიტაციის ცენტრებში, ასევე, ხელმისაწვდომია ნებაყოფლობითი კონსულტირება-ტესტირების სერვისი.

2008 წლიდან ოპიოდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის განხორციელება დაიწყო, აგრეთვე, საქართველოს მთავრობამ. პროგრამა მოქმედებს თანადაფინანსების პრინციპით: სახელმწიფოს მხრიდან ხდება სამურნალო პრეპარატის ღირებულების დაფინანსება, ხოლო სერვისის ღირებულებას კი ფარავს პროგრამაში ჩართული პაციენტი, რაც ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობის გადასახადს შეადგენს. მკურნალობა უფასოდ მიეწოდება აივ-პოზიტიურ და სოციალურად დაუცველ ოჯახთა ეროვნულ ბაზაში რეგისტრირებულ პირებს.

მოცემული ანგარიშის გამოქვეყნების მომენტში ქვეყანაში მოქმედებს 11 ოპიოდებით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო ცენტრი. მათგან 6 – თბილისში, და თითო-თითო შემდეგ ქალაქებში: ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი და თელავი.

გეოგრაფიული დაფარვის გაფართოვებასთან ერთად, სახელმწიფო ჩანაცვლებით პროგრამებში ხდება მკურნალობის მეთოდების დივერსიფიცირება. კერძოდ, 2010 წლის იანვარში, თბილისში გაიხსნა სუბუქსონით ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრი. 2011 წლისთვის ცენტრის სამკურნალო პროგრამაში ჩართული იყო 100 პაციენტი.

## 9. ზიანის შემცირება

2002 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო დონორთა დიდი ყურადღების დამსახურებით<sup>15</sup>, ზიანის შემცირების მიზანმა საქართველოში საკმაოდ სწრაფად განვითარდა. ამის მაჩვენებლებია ზიანის შემცირებაზე ფოკუსირებული არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის, მათი ორგანიზაციული განვითარების დონისა და ინტერვენციის მასშტაბების ზრდა. 2006 წლისთვის ზიანის შემცირების დარგში სულ შვიდი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა, რომელთაც ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (ზშსქ) დააფუძნეს; 2012 წლისთვის ქსელი უკვე 20 ორგანიზაციას აერთიანებს, და დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტად არის აღიარებული. მიუხედავად აღნერილისა, ზიანის შემცირების მდგრადობა ქვეყანაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენადაც დღეისათვის არსებული თითქმის ყველა სერვისი ფინანსდება საერთაშორისო სექტორის (ძირითადად, გლობალური ფონდის) მხრიდან, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ გამოყოფს.

საქართველოში ზიანის შემცირების აქტივობები მოიცავს შემდეგს: შპრიცების/ნემსების, პრეზერვატივებისა და საინფორმაციო მასალების გავრცელება; ნებაყოფლობით კონსულტირება-ტესტირება (ნკტ) აივ-ინფექციაზე, C და B ჰეპატიტებსა და სიფილისზე; თანასწორგანმანათლებლობას; ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებას მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებზე; საკანონმდებლო ცვლილებების და პოლიტიკის რეფორმის ადვოკაციას და ა.შ.

ამჟამად ზშსქ-ის წევრი ორგანიზაციები ამჟამადებენ 10 დაბალზღუდლოვან კომბინირებულ ცენტრს, სადაც ბენეფიციარებს შეუძლიათ მიიღონ სტერილური საინექციო ინსტრუმენტები და ნკტ სერვისი. ორი ცენტრი მოქმედებს თბილისში, დანარჩენი კი შემდეგ რეგიონებში: ბათუმი, თელავი, გორი, ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, ზუგდიდი და სოხუმი. აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოს აივ-პრევენციის პროექტის ფარგლებში 2010 წლიდან მოქმედებდა 7 ნკტ ცენტრი (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, რუსთავი). 2012 წლიდან მათგან 5-მა განაგრძო მუშაობა.

<sup>15</sup> შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, გაეროს შიდსის პროგრამა, ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების საგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოს აივ-პრევენციის პროექტი და სხვ.

## 10. ნარკოტიკაზარი და ნარკოტიკების გამოყენების დაკავშირებული სამართალდარღვევები

საქართველო არ განიხილება, როგორც ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა, თუმცა, ქვეყნის მდებარეობის გათვალისწინებით, არსებობს გარკვეული ვარაუდი მისი ნარკოტრაფიკის გზად გადაქცევის რისკის თაობაზე. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიშის შესაბამისად, არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ საქართველო გახდეს ევროპაში ნარკოტრანზიტის ძირითადი გზა (INCSR, 2012).

ბოლო წლებში ქვეყანაში ნარკოტიკების მინოდების შემცირების სტრატეგია, ძირითადად, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო იმპორტის დაძლევაზე იყო მიმართული. სამართალდამცავ ორგანოებში გავრცელებული მოსაზრებით, შავი ბაზრიდან ისეთი „ტრადიცული“ ნარკოტიკული საშუალებების გაქრობა, როგორიც არის ჰეროინი და სუბუტექსი<sup>®</sup> მოხდა მათი მხრიდან გატარებული ინტენსიური ღონისძიების შედეგად. ნარკოსცენა მკვეთრად შეიცვალა, კუსტარული სტიმულატორებისა და ოპიოიდების მოხმარების ზრდის ხარჯზე. დღეისთვის არ არსებობს საკმარისი მონაცემები/მტკიცებულება ნარკოსცენის ცვლილებასა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად.

სამართალდამცავი ორგანოების კიდევ ერთი პრიორიტეტული სტრატეგია, ბოლო

წლების განმავლობაში, გახლდათ ინტენსიური ნარკოტიკისტიები და სადამსჯელო ღონისძიებები ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ (მაღალი ჯარიმები, თავისუფლების აღკვეთა და სხვა). ექსპერტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ქვეყნის ნარკოვითარებაზე სადამსჯელო ღონისძიებების გავლენასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მყაცრი მიდგომა იწვევს მთელ რიგ ისეთ ნეგატიურ შედეგებს, როგორიცაა, მაგალითად, ახალ, უფრო მეტად დამაზიანებელ ნარკოტიკულ საშუალებებზე გადართვას; გარდა ამისა, სადამსჯელო ღონისძიებები დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთ ფაქტებთან, როგორიცაა მასიური ნარკოტიკისტიები და ადამიანების კრიმინალიზაცია მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარებისათვის. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რიგი ექსპერტები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დასჯაზე დაფუძნებულ სტრატეგიას შედეგად მოაქვს პოზიტიური ცვლილებები ქვეყნისთვის (მაგალითად, ნარკოდანაშაულის კლების თვალსაზრისით). თუმცა, მხოლოდ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და რეგისტრირებული ნარკოდანაშაულის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია დამსჯელობითი მიდგომის გავლენის თაობაზე ამგვარი განზოგადებული დასკვნების გაკეთება.

ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვიდან ამოღების დინამიკა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2006	2007	2008	2009	2010	2011
ჰეროინი	8.592 კგ	16.157 კგ	12.12 კგ	2.3 კგ	1.342 კგ	0.886 კგ
ოპიუმი	229.1 გრ	185.89 გრ	53.6 გრ	37.2 გრ	22.69 გრ	2,244 გგრ
მარიხუანა	23.958 კგ	23.647 კგ	28.3 კგ	4.7 კგ	33.34 კგ	32.12 კგ
ტრამადოლი	70.850 გრ	100.3 გრ	739.2 გრ	79.0 გრ	28.39 გრ	28.2 გრ
სუბუტექსი	10,958 აბი	16,232 აბი	13,757 აბი	5,072 აბი	3,172.5 აბი	17.05 გრ
კანაფის მცენარე	123.336 კგ	64.860 კგ	41.563 კგ	მონაცემი არ მოიპოვება	116.9 კგ	70.4 კგ
მეთადონი	23.057 გგრ	213.9 გრ	328.27 გრ	73.8 გრ	7.5 გგრ	3.1 გგრ
მორფინი	3.33 გრ	4.45 გრ	38.049 გრ	3.57 გრ	12.28 გრ	3.68 გრ

ცხრილი 4: ნარკოტიკული საშუალებების ამოღების დინამიკა 2006-2011 წლებში (ზსს, 2012)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰეროინის, სუბუტექსის, ოპიოიდებისა და სხვა ტრადიციული ნარკოტიკული საშუალებების ხელმისაწვდომო-

ბა საქართველოს შავ ბაზარზე საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს, უკანონო ბრუნვიდან ზემოჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებების გავლენა გადაიდობა და მიმართა სხვადასხვაობა ქვეყნის ნარკოვითარებაზე სადამსჯელო ღონისძიებების გავლენასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მყაცრი მიდგომა იწვევს მთელ რიგ ისეთ ნეგატიურ შედეგებს, როგორიცაა, მაგალითად, ახალ, უფრო მეტად დამაზიანებელ ნარკოტიკულ საშუალებებზე გადართვას; გარდა ამისა, სადამსჯელო ღონისძიებები დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთ ფაქტებთან, როგორიცაა მასიური ნარკოტიკისტიები და ადამიანების კრიმინალიზაცია მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარებისათვის. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რიგი ექსპერტები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დასჯაზე დაფუძნებულ სტრატეგიას შედეგად მოაქვს პოზიტიური ცვლილებები ქვეყნისთვის (მაგალითად, ნარკოდანაშაულის კლების თვალსაზრისით). თუმცა, მხოლოდ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და რეგისტრირებული ნარკოდანაშაულის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია დამსჯელობითი მიდგომის გავლენის თაობაზე ამგვარი განზოგადებული დასკვნების გაკეთება.

ის ხედითი წილის შემცირებასთან ერთად, გამოჩნდა ახალი ნარკოტიკული საშუალებები, რაც ნარკოსცენის ცვლილებებზე მიუთითებს. კერძოდ, კუსტარულად დამზადებული სტიმულატორები, საძილე საშუალებები და სხვა, სააფთიაქო ქსელში ხშირად ექიმის რეცეპტის გარეშე, ადვილად ხელმისაწვდომი ფსიქოტროპული ნივთიერებები. შპრიცების/ნემსების გაცვლის/დარიგების პროგრამების ბენეფიციართა ინფორმაციის მიხედვით, ერთი გრამი ჰეროინის, ისევე,

როგორც სუბუტექსის ერთი 8მგ-იანი ტაბლეტის ფასი შეადგენს 570 ლარს, მაშინ, როდესაც კუსტარულად დამზადებული სტიმულატორები, როგორიც არის ე.წ. „ვინტი“ და „ჯეფი“ (10-20 ლარი) და ახლად გამოჩენილი დეზომორფინი, ანუ იგივე „ნიანგი“ (20 ლარი) გაცილებით იაფია.


შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების ფასები წლების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2008*	2009*	2011
ჰეროინი (ერთი გრამი)	500-600 ლარი	150-225 ლარი	570 ლარი
ოპიუმი	30-50 ლარი	40-60 ლარი	მონაცემი არ მოიპოვება
სუბუტექსი (ერთი 8მგ-იანი ტაბლეტი)	450 ლარი	400 ლარი	570 ლარი

ცხრილი 5: არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების ფასები 2008-2009 წლებში  
(შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2012)

საქართველოს უზანაესი სასამართლოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ნარკოდანაშაულისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავი) 3,543 პირი იქნა მსჯავრდებული. მათ შორის 1,523 მხოლოდ ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა-


თვის. ამას გარდა, დამატებით 5,717 პირი იქნა ადმინისტრაციული წესით სახელდებული ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებისთვის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი).



დოაგრამა 9: მსჯავრდებულთა/დაპატიმრებულთა დინამიკა სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 260-ე და 273-ე მუხლებისთვის (საქართველოს უზანაესი სასამართლო, 2012)

მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულთა რიცხვი ბოლო წლების მანძილზე კლებულობს, დაჯარიმებულთა და პირობით მსჯავრდებულთა რიცხვი კვლავ მაღალია. ყოველწლიურად, 1,000 ადამიანზე მეტი ხვდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო; პა-

რალელურად, ხდება მათთვის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების (ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეზღუდვა, ადვოკატის, ექიმის, საჯარო დაწესებულებებში მუშაობის უფლების შეზღუდვა და სხვა) ჩამორთმევა, რაც ამცირებს მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობებს.



დიაგრამა 10: პირობითი მსჯავრის დინამიკა სსკ 260-ე  
და 273-ე მუხლებით 2007-11წლებში (საქართველოს  
უზანაესი სასამართლო, 2007-2012)

## 11. ეროვნული ნარკოტიკული და გადამოწმენი


საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარება წარმოადგენს სამართალდარღვევას. აღნიშნული ქმედება ისჯება, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის კოდექსით. პირველ ჯერზე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ისჯება ადმინისტრაციული წესით და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით<sup>16</sup>. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან/და ჯარიმით, რომლის მინიმალური ოდენობა 2,000 ლარია, ხოლო მაქსიმალური ზღვარი დადგენილი არ არის<sup>17</sup>.

16 მუხლი 45, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

17 მაშინ, როცა 2011 წელს ქვეყანაში საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 636 ლარს

სასამართლო განაჩენები, ძირითადად, ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტური ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სწრაფი ტესტების პასუხებს, რომელთა შემდგომი გადამოწმება არ ხდება განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებული უფრო ზუსტი ლაბორატორიული მეთოდებით (გარდა გასაჩივრების შემთხვევებისა).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე, 2006 წელს, შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა გამოსცეს ერთობლივი ბრძანება №1049-2336, რომელიც ადგენს ნარკოტიკირების წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ პირმა უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ან იმყოფება ზემოქმედების ქვეშ, ხოლო კანონი „პოლიციის შესახებ“ განსაზღვრავს პოლიციის ოფიცირის უფლებამოსილებას მოსთხოვოს მოქალაქეს ნარკო/ალკოჰოლზე ტესტირების გავლა, თუ ის საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემოყოფთ. 2006 წლის შემდეგ ნარკოტიკირება ფართოდ გავრცელდა, ხოლო ტესტირებაზე მიყვანილ პირთა რაოდენობა ათჯერ გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. მაგალითად, 2007 წელს ტესტირებულ პირთა რაოდენობა ათჯერ მეტი იყო, ვიდრე 2005 წელს, დადებითი შედეგი კი მხოლოდ ტესტირებულთა 30%-ს დაუდგინდა (ოთიაშვილი, 2012). მიუხედავად რაოდენობის კლებისა ბოლო წლებში, პროპორცია დადებით და უარყოფით შედეგს შორის კვლავ იგივეა – 1/3.



დიაგრამა 3: ნარკოლოგიური ტესტირების დინამიკა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2012)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკიული საშუალებების ფლობა ნებისმიერი ოდენობით წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მუხლში არ არის გამიჯნული ნარკოტიკების ფლობა

პირადი მოხმარების მიზნით თუ გასაღებისთვის. იგი ითვალისწინებს საკმაოდ მკაცრ სასჯელს, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე მცირე ოდენობით ნარკოტიკიული საშუალების უკანონო ფლობისთვის, 7-დან 14 წლამდე – დიდი

ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო ფლობისთვის და 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის. როგორც ვხედავთ, ნარკოტიკული საშუალების ოდენობას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს სასჯელის სიმკაცრის განსაზღვრისას, მაშინ, როცა ოდენობები ქართული კანონმდებლობით არ არის სათანადოდ განსაზღვრული. კერძოდ, 2003 წლის პარლამენტის დადგენილებაში, რომელშიც განსაზღვრულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობები, საკმაოდ ბევრ ნივთიერებას არ აქვს განსაზღვრული მცირე ოდენობა, რის შედეგადაც ნებისმიერი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო ფლობა ითვლება დიდ ოდენობად და ითვალისწინებს ზემოხსენებულ მკაცრ სასჯელს.

2008 წელს ამ და სხვა საკანონმდებლო პრობლემების გადაჭრის მიზნით, საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების ორი პაკეტი. პაკეტი, რომელიც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა წარადგინა, მომზადებული იყო გლობალური ფონდის ექსპერტების მიერ (GFATM, 2008). მეორე – ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ (ზშსქ, 2008), ინიცირებული 58,000 მოქალაქის ხელმოწერით. ორივე ინიციატივა ითვალისწინებდა ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციას, არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ოდენობების განსაზღვრას და ნარკოტიკების ფლობის სამართლებრივ გამიჯვნას პირადი მოხმარებისა თუ გასაღების მიზნით.

2012 წლამდე არ მომხდარა აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტების საპარლამენტო განხილვა. 2012 წლის პირველ ნახევარში გაიმართა რამდენიმე საპარლამენტო განხილვა პირველი საკანონმდებლო ინიციატივის ირგვლივ, ხოლო მაისის თვეში მოხდა ცვლილებების დამტკიცება. თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი არ იქნა მიღებული სრულად, მხოლოდ რამდენიმე კანონში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, ხოლო ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის საკითხი სამომავლო განხილვისთვის გადაიდო.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მოხდა ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონის დახვენა, კონტროლირებად ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა სის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სიაში დამატება, ნარკოტიკული საშუალებების ლეგალური

ბრუნვისა და ასევე საჯარო მოხელეთა სავალ-დებულო ნარკოტიკული ტესტირების შესახებ ნორმების შემოღება. აღნიშნული ცვლილებებით ასევე მოხდა ჰეროინისა და მეთადონისთვის მცირე ოდენობების განსაზღვრა, თუმცა კვლავ განუსაზღვრული რჩება მცირე ოდენობა ისეთი ამჟამად გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებებისათვის, როგორიც არის, მაგალითად, ამფეტამინი, მეტამფეტამინი და დეზომორფინი. ექსპერტების მხრიდან, ასევე, იყო მოლოდინი, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდებოდა ნარკოტიკული დანაშაულიდან ჯარიმების სახით შემოსული თანხის არანაკლებ 20%-ის გამოყენება ნამალდამოკიდებულების მკურნალობისა და სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსებისთვის, თუმცა მეორე და მესამე პლენარულ მოსმენებს შორის აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა კანონპროექტიდან.

2012 წლის დეკემბერში, ახალი მოწვევის პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი კვლავ გამოვიდა ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის მიზნით. ინიციატივა ეყრდნობა გლობალური ფონდის ექსპერტთა ჯგუფის ზემოხსენებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას ნარკოტიკების მოხმარების გამო და მთელ რიგ სხვა პოზიტიურ ცვლილებებს; მაგრამ ამასთან ერთად, მასში შემოთავაზებულია 3,500 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა წლის მანძილზე მესამედ და მეტჯერ განმეორებით მოხმარების შემთხვევაში, რაც ~6-ჯერ აღემატება საშუალო შემოსავალს საქართველოში. ამჟამად პროფესიულ თემსა და საკანონმდებლო ხელისუფლების ნარმომადგენელთა შორის მიმდინარეობს პაკეტში შემოთავაზებული ცვლილებების განხილვა.

## 12. ეროვნული ნარკოსტრატეგია

საქართველოში დღემდე არ არსებობს ექსპლიციტური ნარკოსტრატეგია. 2007 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ნარკოსტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მოიცავდა<sup>18</sup>: მკურნალობასა და რეაბილიტაციას, პრევენციას, ზიანის შემცირებას, პროფესიული კადრების

<sup>18</sup> მიმართულებები ამოერფილი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინციატივით შექმნილი სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის საბჭოს მიერ მომზადებული ნარკოპოლიტიკის დოკუმენტიდან (სირბილაძე და სხვანი, 2006).

მომზადებას, საზოგადოების ინფორმირებას, ნარკოვითარების მონიტორინგის მექანიზმის შექმნას, კოორდინაციას. პარალელურად, სხვა-დასხვა უწყებას დაევალა ამ მიმართულებების შესაბამისი სამოქმედო კოორდინირებული გეგ-მების შემუშავება. ეს რეალურად არ განხორ-ციელდა, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, და შედეგად, 2012 წლამდე ქვეყანა ნარკოსტრატეგიის გარეშე დარჩა.

2012 წელს, პრეზიდენტის 751-ე ბრძანებულებით შეიქმნა ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკონრდინაციო საბჭო. ამ ბრძანებულების კვალდაკვალ, იუსტიციის სა-მინისტრომ დაიწყო შესაბამის უწყებათა კოორ-დინირება საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგიის შექმნის მიზნით. კერძოდ, შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ დარგის შესაბამისი ექსპერტები და უწყებათა წარმომადგენლები: ნარკოტიკებზე მოთხოვნისა და ზიანის შემცირების ჯგუფი (1), ნარკოტიკების მიწოდების შემცირების ჯგუფი (2), ნარკოტიკე-ბზე ინფორმაციისა და კვლევის ჯგუფი (3), დაბოლოს – საერთაშორისო თანამშრომლო-ბისა და კოორდინაციის ჯგუფი (4). 2012 წლის შემოდგომისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დიდი ნაწილი მომზადებულ იქნა სამუშაო ჯგუფების მიერ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით შესრულებული ეს სამუშაო არ შეწყდეს და მი-ყვანილ იქნას ბოლომდე.

ქვემოთ მოყვანილი ქეისიდან ნათლად ჩანს მტკიცებულებაზე დაფუძნებული დაბალანსე-ბული სტრატეგიის არსებობის მნიშვნელობა:

2012 წელს როგორც საქართველოს პროკუ-რატურამ, ასევე შსს-ს ანალიტიკურმა დეპარ-ტამენტმა ჩაატარეს სტატისტიკური გამოკვ-ლევები, ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების შესაფასებლად. ამ ორი კვლევის მეთოდოლო-გია უცნობია (არ იყო გამჭვირვალე). ჩატარე-ბული ორივე კვლევის დასკვნები ამტკიცებს, რომ უკანასკნელ წლებში, ძალოვანი სტრუქ-ტურების მიერ განხორციელებული სადამ-სჯელო ღონისძიებების (ქუჩის მასიური ნარ-კოტესტირება, მომხმარებელთა დაპატიმრება და ა.შ.) წყალობით ქვეყანაში გაუმჯობესდა ნარკოვითარება. გაუმჯობესების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად მიჩნეულ იქნა გამოვლენილი ნარკოდანაშაულის (ძირითადად, მოხმარების) სტატისტიკის კლება,

რაც, თავის მხრივ, განხილულ იქნა, როგორც ზოგადად ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების კლების მაჩვნებელი. ამგვარი ინტერპრეტაციის დასასაბუთებლად, ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლები ეყრდნო-ბოდნენ რეგისტრირებული ნარკოდანაშაულის სტატისტიკის დინამიკას 2007 წლიდან 2011 წლამდე: 2007 წელს – 8,493 შემთხვევა, 2008 წელს – 8,699 შემთხვევა, 2009 წელს – 6,921 შემთხვევა, 2010 წელს – 5,854 შემთხვევა და ბოლოს 3,984 შემთხვევა 2011 წელს (საქართ-ველის იუსტიციის სამინისტრო, 2012).

ამგვარ დასკვნებზე საპასუხოდ, დარგის ექსპერტთა ნაწილმა ხაზგასმით მიუთითა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურე-ბის სტატისტიკა ვერ იქნება და არც უნდა იყოს ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების კლებ-ის ინდიკატორი. არგუმენტად ექსპერტებს ის მოყავდათ, რომ რეგისტრირებულ ნარკოდანა-შაულებათა კლება შესაძლებელია აიხსნას სხვა მიზიზებითაც, მაგალითად:

- ძალოვანი სტრუქტურების სტრატეგიების ცვლილებით მომხმარებელთა დაკავების ინ-ტენსივობის შემცირების თვალსაზრისით;
- მომხმარებლების გადასვლით ახალ, კუს-ტარულ, საყოფაცხოვრებო მაღაზიებში ად-ვილად და უპრობლემოდ შეძენადი პრე-კურსორებიდან დამზადებულ ნივთიერებებზე, რის შედეგადაც პოლიცია მათ იმავე ინტენ-სივობით ველარ აკავებდა, როგორც უნინ;
- ისევ და ისევ, ახალ ნივთიერებებზე გადასვ-ლის გამო, რუტინული შარდის ანალიზით მოხ-მარების ფაქტების გამოვლენის გართულება;
- მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო არგუ-მენტი აღმოჩნდა, კვლევებში აქცენტირებული, 2007 წლიდან მოყოლებული ახალი სტატისტი-კის შედარება მანამდე არსებულ, ვთქვათ, 2006 წლის სტატისტიკასთან: 2006 წელს ნარკოდან-აშაულის (ძირითადად, მოხმარების) გამო აღ-რიცხულ პირთა რაოდენობა უდრიდა 3,542 (ჯავახიშვილი, სტურუა, 2009), რაც უფრო დაბალი იყო, ვიდრე 2011 წლის ანალოგიური მაჩვნებელი; ამავე დროს, ძალოვანების მიერ 2006 წლის ნარკოვითარება შეფასებული იყო, როგორც უარესი, ვიდრე შემდგომ წლებში.

უეჭველია, რომ ძალოვანი სტრუქტურების სტატისტიკა მნიშვნელოვანია; მას არ შევყავართ შეცდომაში, თუ ვიხილავთ სხვა ეპიდემიოლო-გიურ ინდიკატორებთან ერთად, სისტემურად, ნარკოტიკების პრობლემის მრავალპლანიანო-

ბის გათვალისწინებით. ცლკე აღებული, კონტექსტიდან ამოგლევილი ძალოვანი სტატისტიკა ვერ მოგვცემს საკმარის მტკიცებულებას ნარკოტიკული გაუმჯობესება-გაუარესებაზე დასკვნების გამოსატანად და შესაბამისად, მართებული ნარკოსტრატეგიის დასაგეგმად.

მოცემული შემთხვევა კარგად გვიჩვენებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის თანმიმდევრული და დაბალანსებული (მოთხოვნისა და მიწოდების სტრატეგიებს შორის), მტკიცებულებაზე (და არა ვარაუდებზე) დაფუძნებული, ექსპლიციტური, ობექტურ და მიუკერძოებელ მონიტორინგს დაქვემდებარებული ნარკოსტრატეგია.

### 13. კოორდინაცია

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იყო მცდელობა ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის პრობლემის გარშემო უწყებათაშორისი კოორდინაციისა, მაგრამ პოლიტიკური ნების არარსებობისა და კორუფციის პირობებში ამ მექანიზმა ვერ იმუშავა. მას მერე, ეროვნულ დონეზე ნარკოტიკების პრობლემის საპასუხო ღონისძიებების კოორდინაციის საკითხის მოგვარება 2011 წლამდე გადაიდო.

როგორც ნარკოსტრატეგიას მიძღვნილ თავში აღინიშა, პრეზიდენტის 2012 წლის 22 ნოემბრის 751-ე ბრძანებულების თანახმად, ქვეყანაში შეიქმნა ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, იუსტიციის სამინისტროს ფასილიტაციური როლით. საბჭო აერთიანებს მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებაზე მომუშავე უწყებების ნარმომადგენელთ, მასში მონაწილეობენ, აგრეთვე, დარგის საექსპერტო თემის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენელი. საბჭოს მთავარი ამოცანები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პრევენციის პოლიტიკის შემუშავება;
- ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელების პერიოდული მონიტორინგი და გადახედვა;
- ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის შესამუშავებლად რეკომენდაციების შემუშავება;
- ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის განხორციელების პროცესში უწყებათაშო-

რისი თანამშრომლობის კოორდინაცია.

მნიშვნელოვანია, რომ ნარკოსტრატეგიის კოორდინაციის ამ მექანიზმა არ შეწყვიტოს არსებობა და განვითარდეს, რამდენადაც დაბალანსებული ნარკოსტრატეგიის მიღწევა მხოლოდ კოორდინაციის გზით არის შესაძლებელი.

### 14. განსაკუთრებული თემა: ნარკოტრატიკის ეკონომიკური ასპექტები

აღნიშნულ თავში განხილულია კვლევები, რომელიც შეისწავლის საქართველოში ნარკოტიკების პრობლემის საპასუხოდ განხორციელებული სამი საკვანძო პროგრამის ხარჯთევექტურობასა და ლირებულებას. ეს პროგრამებია: შპრიცების დარიგება/გაცვლა (14.1), ქუჩის ნარკოტიკესტირება (14.2) და მედიკა-მენტით მხარდაჭერილი მკურნალობა<sup>19</sup> (14.3). აღნიშნული კვლევები პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს სთავაზობს სამეცნიერო მტკიცებულებებს, რომელიც დაეხმარება, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის პირობებში, მიღლონ საუკეთესოდ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის სიტუაციაში, არაერთი ქვეყნის მთავრობა ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას დაგეგმილი ღონისძიებებისა და ზომების ეფექტურობასა და ხარჯთევექტურობაზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც რესურსები ისედაც შეზღუდულია და ეკონომიკა კი მეტად მოწყვლადი. შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის გამგეობის გადაწყვეტილება 11-ე რაუნდის გაუქმებისა და დაფინანსების მექანიზმის შეცვლის თაობაზე დამატებით წნებს ქმნის იმ განვითარებადი ქვეყნების ბიუჯეტებისათვის, სადაც აივ/შიდსის სფეროში განხორციელებული პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს გლობალური ფონდი აფინანსებს. საქართველო მათ შორისაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოიკვეთა აუცილებლობა შეფასდეს ქვეყანაში მოქმედი სტრატეგიების ეკონომიკური ასპექტები, რაც ნარკოტიკებისა და აივ/შიდსის სფეროში ხარჯთევექტური ინტერვენციების მოდელების შემუშავებას შეუწყობს ხელს.

<sup>19</sup> ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ოპიოდებით ჩანაცვლებითი თერაპია.

#### 14.1.ნემსების/შპრიცების გაცვლის/დარიგების პროგრამების ხარჯთვების შეფასება საქართველოში (Wilson, 2012)

მოცემული კვლევა გვიჩვენებს, თუ რა მოგვ- ა ნემსების/შპრიცების გაცვლის/დარიგების პროგრამაში ინვესტირებამ, საქართველოში სისხლის გზით გადამდები ინფექციების გავრ- ცელების პრევენციის თვალსაზრისით და რა მიმართებაშია პროგრამის შედეგები მასზე გახ- არჯულ თანხებთან. ამისთვის ჩატარებულ იქნა: ა. ნემსების/შპრიცების გაცვლის/დარიგების სარგებლის შეფასება ინფექციების გავრცელების პრევენციისა და ნარკოტიკების ინექციური მომხ- მარებლების ჯანმრთელობაზე გავლენის თვალ- საზრისით; ბ. შპრიცების გაცვლის პროგრამის ხარჯების ეფექტიანობის შეფასება ჯანდაცვის სექტორის პერსპექტივიდან.

კვლევაში გამოყენებულ იქნა სპეციალუ- რად შპრიცების გაცვლის პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებული სტანდარტიზებული მოდელი და პროგრამული უზრუნველყოფა<sup>20</sup>.

კვლევამ გამოავლინა, რომ ნემსების/შპრი- ცების პროგრამებს მნიშვნელოვანი სარგებელი

მოაქვს ქართული საზოგადოებისათვის, კერ- ძოდ, HIV და HCV ახალი შემთხვევების პრევენ- ციის თვალსაზრისით. კერძოდ, პროგრამების მეოხებით, მცირდება ამ ინფექციებთან დაკა- ვშირებული სიკვდილობა, აგრეთვე, იზოგება ჯანდაცვაზე გასასწევი ხარჯები, რომლებიც სხვა შემთხვევაში უნდა დაიხარჯოს ინფიცირე- ბული ადამიანების მკურნალობისათვის.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ნემსების/ შპრიცების დარიგების წყალობით, გასული 10 წლის განმავლობაში, ჯანდაცვის ხარჯის დან- აზოგმა 75,000 აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროუ- ლად, მომდევნო 10 წლის ხარჯების მოდელირებამ დაადგინა, რომ თუ შპრიცების გაცვლის პროგრა- მის დაფინანსება არსებულ დონეზე დარჩება, მა- შინ 2010-2020 წლებში ჯანდაცვის ხარჯების და- ნაზოგი გადააჭარბებს 15,000,000 აშშ დოლარს.

2000-იანი წლების დასაწყისისთვის მნიშ- ვნელოვანი ძალისხმევა იქნა განეული შპრიცების და ნემსების გაცვლის მომსახურებების დან- ერგვისა და პერსონალის ტრენინგისთვის, ასევე პროგრამის საწყის ეტაპზე განსახორციელებელი სხვა შესაბამისი ღონისძიებებისთვის. პროგრამის ფარგლებში მომსახურებების ხარისხი და ეფექ- ტურობა თავდაპირველად, შესაძლოა, შედარებით დაბალი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გაუმ- ჯობებსდა. მიუხედავად ამისა, კვლევის თანახმად, შპრიცების გაცვლის პროგრამებში 2000–2010 წლებში განხორციელებულ ინვესტიციებს +246%- იანი უკუგება მოჰყვა (იხ. ცხრილი 6).

<sup>20</sup> მოდელი შეიქმნა ავსტრალიაში და გამოიყენება გაეროს შიდ- სის ფონდისა და სამხრეთ უელსის ახალი უნივერსიტეტის ერთობლივი თანამშრომლების ფარგლებში. შპრიცების გაცვ- ლის პროგრამის შეფასების მოდელი (Needle Exchange Program Evaluation Model – NEPEM) საქართველოში გამოიყენეს UN- AIDS-მ, UNSW-მ, და ადგილობრივმა პარტნიორებმა, კერძოდ: ალტერნატივა ჯორჯგას, დამოიდებულების კვლევის ცენ- ტრმა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა და აივ/შიდსის საქართველოს საკონფლიქტო საბჭომ.

არსებული დონის შენარჩუნება	4.46 m	105 285	15 244	19 187	15 018 179	671	0 (Ref)
ინვესტირება შპრიცების გაცვ- ლის პროგრამის	ცვლილე- ბა შპრე- არჯებში* (\$ მილ)	ცვლილე- ბა QALY- ებში	ცვლილება ინფექციებში (შე- ჩრებული ინფექციები)**		უკუგება*** (\$)	გადარჩე- ნილი სიცოცხლე	ICER****
			HIV	HCV			
50% შემცირება	-2.23	-11,163	-13,276	-5,986	-7,816,922	-386	199
25% შემცირება	-1.11	-6,735	-7,914	-3,786	-4,454,377	-222	164
25% ზრდა	1.11	5,599	5,620	3,595	3,069,952	152	198
50% ზრდა	2.24	9,555	8,794	6,381	4,891,851	241	234
100% ზრდა	4.5	13,114	11,043	9,041	6,296,277	308	338
200% ზრდა	8.54	14,296	11,669	9,952	6,716,614	327	597

\* დაგენერირებული ხარჯები შესაბამისობაში განხორციელების მიმდინარე ხარჯებთან ფასდაკლების გარეშე

\*\* შემთხვევების მთლიანი რაოდენობა (2011-2020)

\*\*\* დაზოგილი ხარჯი ჯანდაცვაზე (2011-2020)

\*\*\*\*მზარდი ხარჯთვების კოეფიციენტი (ICER) = (NSEP1 - NSEPO) / (QALY1 - QALY0)

მზარდი ხარჯთვების კოეფიციენტი ალტერნატიულ სცენარებში ფასდება სცენარის მზარდი ხარჯის გაყოფით მიღებულ ან დაკარგულ QALY-ებზე.

ცხრილი 6: შპრიცების გაცვლის პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებული გავლენა  
მომდევნო 10 წლის განმავლობაში (2011-2020 წწ.)

მოდელირების თანახმად, შპრიცების დარიგება/გაცვლის პროგრამის მასშტაბის 100%-იანი ზრდა წარმოადგენს ოპტიმალურ სცენარს პროგრამის განხორციელებით მიღებული სარგებლის თვალსაზრისით. 100%-ზე მეტმა ზრდამ, შესაძლოა არ მოიტანოს სახელმწიფოსთვის ინვესტიციის პროპორციული ამონაგები, თუმცა, საზოგადოებას დიდი ალბათობით მოუტანს მნიშვნელოვან სარგებელს თავიდან აცილებული ინფექციების, გადარჩენილი სიცოცხლეებისა და გაზრდილი ცხოვრების ხარისხის სახით.

#### **14.2. რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტიკირება? (Otiashvili et al., 2012)**

იმის დასადგენად, თუ რა ზეგავლენას ახდენს მკაცრი სადამსჯელო სტრატეგიების განხორციელება საქართველოში არსებულ ნარკოვითარებაზე და რა უჯდება სახელმწიფოს ამ ზომების დაფინანსება, განხორციელდა სპეციალური ეკონომიკური გამოკვლევა. ნარკოტიკირების მოდელის შესაქმნელად, გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომპინაცია, კერძოდ: ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარით, დანახარჯების გამოვლენა და გამოთვლა.

2008 წელს, ქუჩის რანდომული ნარკოტიკირების გავლა 43,000 ადამიანს მოუწია და ეს სახელმწიფოს 18 მილიონი ლარი დაუჯდა. ამ ადამიანთა უმეტესობამ, ვისაც ტესტირების პასუხი დადებითი აღმოაჩნდა და ამისათვის დაისაჯა, განაახლა ნარკოტიკების მოხმარება დასჯიდან სამი თვის თავზე. უკლებლივ ყველა მათგანი კვლავ მოიხმარდა ნარკოტიკებს 11 თვის თავზე. მკვლევრები ამ მონაცემების საფუძველზე ასკვნიან, რომ ნარკომომხმარებელთა ამ სახით დასჯა და დაპატიმრება საქართველოში არაარი, ან მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს შემონმებული პირების ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქცევაზე და ამგვარად, ეს სამართალდამცავი და სასამართლოს სისტემების ისედაც შეზღუდული რესურსების ფუჭი ხარჯვაა.

#### **14.3. მედიკამენტით მხარდაჭერილი მკურნალობის (მმმ) ხარჯების შეფასება საქართველოში აივ ინფექციის პრევენციისთვის (Kirtadze, 2012)**

კვლევამ მოახდინა ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის მიწოდების ერთეულის თვითლირებულების შეფასება საქართველოში,

ორი სუბიექტის – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (ჯანდაცვის სამინისტრო) და შიდსთან, ტუბერკულოზსა და მაღარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (გლობალური ფონდი) – პროგრამებში. კვლევამ განახორციელა 2009 და 2010 წლებში სერვისის მიწოდების ერთეულის სამუალო თვითლირებულების ანალიზი და გამოავლინა შემდეგი:

- სერვისის მიწოდების ერთეულის თვითლირებულება 2009-დან 2010 წლამდე უმნიშვნელოდ გაიზარდა როგორც სახელმწიფო, ასევე გლობალური ფონდის პროგრამებში. სახელმწიფო პროგრამებში თვეში 229 ლარიდან 236 ლარამდე, ხოლო გლობალური ფონდის პროგრამებში 217 ლარიდან 229 ლარამდე;
- გლობალური ფონდის პროგრამები უმნიშვნელოდ იაფია სახელმწიფო პროგრამებთან შედარებით. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფო პროგრამებში ერთეულის თვითლირებულება მოიცავს პაციენტების შენატანს, რომელიც თვეში თითოეული პაციენტისათვის 150 ლარს შეადგენს;
- ორივე პროგრამაში, მედიკამენტით მხარდაჭერილი მკურნალობის სერვისის მიწოდების პირდაპირი ხარჯი ბევრად აჭარბებს არაპირდაპირ ხარჯებს. სამი ძირითადი კომპონენტი (პერსონალი, მედიკამენტები/სამედიცინო მასალები და კომუნალური ხარჯები) წარმოადგენს მმმ-ის მიწოდებასთან ასოცირებული ხარჯების ყველაზე დიდ ნაწილს. ბიუჯეტის ყველაზე დიდი მუხლი ორივე პროგრამისათვის არის პერსონალის ხარჯი (კლინიკური და დამსმარე პერსონალის ხელფასები);
- პროგრამებში გამოყენებული მხარდამჭერი მედიკამენტის ღოზები ვარირებს. გამოკვლეული სახელმწიფო მმმ-ს 11 ცენტრიდან, ორის გარდა, ყველა დანარჩენში პაციენტების 60%-ზე მეტი იღებს დღეში 60 მგ-ზე ნაკლებ ჩანაცვლებით პრეპარატს. აღნიშნული, დიდი ალბათობით, გავლენას ახდენს მკურნალობის შედეგებთან დაკავშირებულ დანახარჯებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, მეთადონის ოპტიმალური ღოზა დღეში 60-დან 120 მილიგრამამდე ვარირებს ცნობილია, რომ პაციენტები, რომლებიც ღებულობენ 60-120მგ უფრო დიდხანს რჩებიან პროგრამ-

აში, უფრო ნაკლებად მოიხმარენ ინჟექციურ ნარკოტიკულ საშუალებებს და ხასიათდები- ან აივ ინფექციის უფრო დაბალი რისკით, ვიდრე ის პაციენტები, რომლებიც ღებულო- ბებ 60 მგ-ზე ნაკლებ დოზას.

კვლევაში, აგრეთვე, შეფასდა არსებული ინ- ფრასტრუქტურის ფარგლებში, პროგრამების პოტენციური ზრდის შესაძლებლობა. ექსტრაპო- ლაციისთვის<sup>21</sup> გამოყენებულ იქნა 2010 წლის მო- ნაცემები. ვინაიდან გლობალური ფონდის პრო-

21 აღნიშნულმა კვლევამ შეაგროვა 2009 და 2010 წლის მონაცე- მები 11 დაწესებულებიდან და მოახდინა შედეგების ექსტრაპო- ლაცია, რათა განესაზღვრა პაციენტთა მაქსიმალური შესაძლე- ბელი რიცხვი ქვეყანაში არსებული 16 დაწესებულებისთვის.

გრამები სრულიად შესესქულია, პაციენტთა რა- ოდენობის ნებისმიერი ზრდისთვის საჭირო იქნება პროგრამების რესურსების ზრდაც და დანახარ- ჯიც, შესაბამისად, გაიზრდება. აქედან გამომდი- ნარე, სცენარების მოდელირება მოხდა მხოლოდ სახელმწიფო პროგრამებისათვის. გამოვლინდა, რომ პაციენტთა რაოდენობის ზრდასთან ერ- თად, მცირდება სერვისის მიწოდების ერთეულის თვითღირებულება. აღნიშნული იძლევა შესწავ- ლილი მმმ პროგრამების გაფართოვების (მეტი პაციენტის ჩართვა არსებული ადამიანური და ტექნიკური რესურსების პირობებში) პრაგმატუ- ლობის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

## აპრევიატურების ჩამონათვალი

აივ – ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები

ზშსქ – ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

კსმ – კომერციული სექსმუშაკი

მმმ – მედიკამენტით მხარდაჭერილი მკურნალობა

მსმ – მამაკაცი, რომელსაც აქვს სექსი მამაკაცთან

ნიმ – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი

ნკტ – ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

სგგი – სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

ს/კ – სამეცნიერო/კვლევითი

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო

BSS – Behavioural Surveillance Survey, ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა

EMCDDA – European Monitoring Centre on Drugs and Drugs Addiction, ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი

ESPAD – European School Project on Alcohol and Other Drugs, ევროპის სასკოლო პროექტი ალკოჰოლსა და სხვა ნარკოტიკებზე

EUDAP – European Drug Addiction Prevention Trial, ევროპის ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენ- ციის პროგრამა

GFATM – Global Fund on AIDS, Tuberculosis and Malaria, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

GHPP – Georgian HIV Prevention Program, საქართველოს აივ პრევენციის პროგრამა

GHRN – Georgian Harm Reduction Network, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GORBI – Georgian Opinion Research Business International, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის საერთაშორისო ბიზნესი

HCV – C ჰეპატიტის ვირუსი

HBV – B ჰეპატიტის ვირუსი

HIV/AIDS – ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსი

ICER – Incremental Cost Effectiveness Ratio, მზარდი ხარჯთევექტური დამოკიდებულება

INCSR – International Narcotics Control Strategy Report, ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სტრატეგიული ანგარიში

NCDC – National Centre for Disease Control, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

QALY – Quality Adjusted Life Years, ხარისხს მორგებული ცხოვრების წლები

SCAD – Southern Caucasus Anti-Drug Programme, სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა

UNAIDS – United Nations AIDS Fund, გაეროს შიდსის ფონდი

UNGASS – United Nations General Assembly Special Session, გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია

UNICEF – United Nations Children's Fund, გაეროს ბავშვთა ფონდი

UNODC – United Nations Office on Drugs & Crime, ნარკოტიკებისა და სისხლის სამართლის გაეროს ოფისი

USAID – United States Agency for International Development, აშშ განვითარების სააგენტო

WHO – World Health Organization, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

## პირლიოგრაფია

გამყრელიძე, ა., თოდაძე, ხ., კარიაული, დ, ლეუავა, გ., სტვილია, ქ., ცინცაძე, მ., ჯავახიშვილი, ჯ. 2004. ნარკოვითარება საქართველოში – 2003. სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა, თბილისი.

გლობალური ფონდი, 2008. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. თბილისი.

ვადაჭყორია, დ. 2012. ნარკოტიკების მოხმარების ტენდენციები აბსტინენციაზე ორიენტირებულ მკურნალობაში ჩართულ პაციენტებში. თბილისი.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი. 2008. თბილისი. ([www.ziani.ge](http://www.ziani.ge))

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი. 2011. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზედოზირების კვლევა.

თოდაძე, ხ. (2005). ნარკოტიკების მოხმარების შესწავლა ციხის პოპულაციაში. ანგარიშში: ნარკოვითარება საქართველოში- 2004 (ჯ. ჯავახიშვილის რედაქციით). თბილისი.

თოდაძე, ხ. (2005ბ). სიკედილობის შესწავლა ნარკოტიკების მომხმარებლებში. ანგარიშში: ნარკოვითარება საქართველოში- 2004 (ჯ. ჯავახიშვილის რედაქციით). თბილისი.

კირთაძე, ი. ზიანის შემცირების პროგრამების მკვლევარი. 2012. პირისპირ საუბარი ჯ. ჯავახიშვილთან, თბილისი.

ლომიძე გ., წერეთელი ნ., კეპულაძე კ. 2012. ზიანის შემცირების საჭიროებების კვლევა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. თბილისი. თანადგომა.

ოთიაშვილი, დ., კირთაძე, ი., ცერცვაძე, ვ., ჭავჭანიძე, მ. 2010. რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება. თბილისი, ალტერნატივა ჯორჯია.

სირბილაძე, თ. 2010. ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პრევალენტობის შეფასება. თბი-

ლისი. ბემონი.

სირბილაძე, თ., ბარამიძე, ლ., ბარათაშვილი, პ., ჯავახიშვილი, ჯ., მაჭავარიანი, მ., ნადაშვილი, ნ., თოდაძე, ხ., ზაქარაშვილი, თ. 2006. საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია. თბილისი.

სიხარულიძე, ზ. 2012. საქართველოში ოპიოიდური ჩანაცვლებითი მეურნალობის ბარიერების შესწავლა. თბილისი. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო.

ჩოკოშვილი, ო. 2012. აივ-ი გადაცემის გზები. პირისპირ საუბარი დ. ოთიაშვილთან. თბილისი.

წერეთელი, ნ., 2012. ნარკოტიკების მოხმარება კომერციულ სექსმუშაკებში. პირისპირ საუბარი ი. კირთაძესთან. თბილისი.

წულაძა, ე., 2012. ნარკოტიკების პრობლემური მოხმარება. პირისპირ საუბარი ი. კირთაძესთან. თბილისი.

ყვავილაშვილი, ნ., ფილაური, ქ. 2012. არალეგალური ნარკოტიკების კვლევა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. თბილისი. GCRT.

ჯავახიშვილი, ჯ., სტურუა, ლ. (რედ-ები). 2009. ნარკოვითარება საქართველოში – 2009. თბილისი.

ჯავახიშვილი, ჯ. (რედ.), გამყრელიძე, ა., თოდაძე, ხ., კარიაული, დ, ლეზავა, გ., სტვილია, ქ., ცინცაძე, მ., 2006. ნარკოვითარება საქართველოში – 2005. სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა, თბილისი.

ჯოხაძე, ხ. 2012. სახელმწიფო ჩანაცვლებით პროგრამებში ნამჟურნალევი პაციენტების რაოდენობა.

AIDSPAN. 2011. *Board Cancels Round 11 and Introduces Tough New Rules for Grant Renewals* [Online]. Available: <http://www.aidspan.org/index.php?issue=167&article=1> [Accessed].

BARAMIDZE, STURUA, 2009. The Use of Alcohol and Other Drugs in Georgian Students, Pilot Study Rigorously Following Criteria of European School on Alcohol and Other Drugs. *Drug Situation in Georgia*. Tbilisi: South Caucasus Anti Drug Program.

CURATIO, I. F. T. 2010. Bio-Behavioural Surveillance Study among MSM. Tbilisi.

EMCDDA 2002. Handbook for surveys on drug use among the general population. Lisbon: EMCDDA.

GORBI 2012. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში. თბილისი.

GOVERNMENTOFGEORGIA 2010. UNGASS Country Progress Report, Reporting Period 2008 – 2009 calendar years. Tbilisi.

HECKATHORN, D. D. 1997. Respondent-Driven Sampling: A New Approach to the Study of Hidden Populations. *Social Problems*.

INCSR, U. S. D. 2012. International Narcotics Control Strategy Report (INCSR).

KIRTADZE, I., MENON, V., BEARDSLEY, K. & FORSYTHE, S. 2012. Assessing the Costs of Medication-Assisted Treatment for HIV Prevention in Georgia. *Futures Group, USAID / Health Policy Initiative Costing Task Order*. Washington, DC.

MAYHEW, P., VAN DIJK, J.J.M. 1997. Criminal Victimisation in eleven Industrialised Countries. Key findings from the 1996 International Crime Victims Survey. The Hague Ministry of Justice, WODC.

MOJ. 2012. <http://justice.gov.ge/files/tengo-foto/antinarkotikuli.pdf> [Online]. Tbilisi: MoJ. Available: <http://justice.gov.ge/files/tengo-foto/antinarkotikuli.pdf> [Accessed September 2012].

NCDC 2012. გამოუქვეყნებელი ანგარიში ვირუსულ ჰეპატიტებზე. თბილისი.

OTIASHVILI, D., SAROSI, P., SOMOGYI, L.G. 2008. Drug control in Georgia: Drug control and reduction of drug use. In: FOUNDATION, B. (ed.) *Beckley Foundation briefing paper XV*. Beckley Foundation.

SAMHSA OFFICE OF APPLIED STUDIES, S. 2011. National Survey on Drug Use & Health (formerly called the

- National Household Survey on Drug Abuse) Methodology Reports and Questionnaires. Washington: U.S.: Department of Health & Human Services.
- SIKK, K. 2007. Manganese-Induced Parkinsonism due to Ephedrone Abuse. *Parkinson's Disease*, Volume 2011 (2011), Article ID 865319, 675-682.
- TABATADZE, M. 2012. Youth Behavioural Surveillance Survey (BSS) studying HIV/AIDS knowledge, attitudes and practices among high school and university students in Tbilisi. Tbilisi.
- WHO, U. U. 2008. Principles of Drug Dependence Treatment. . *Discussion Papers*. [Online].
- WHO/UNICEF 2012. Joint Reporting Form on Communicable Diseases for the period January to December 2011. Tbilisi.
- WILSON, D., ZHANG, L., KERR, C., KWON, A., HOARE, A., OTIASHVILI, D., TSERTSVADZE, V., TAVADZE, L., IASHVILI, E., AVILA, C. & WILLIAMS-SHERLOCK, M. 2012. Evaluating the Cost-effectiveness of Needle-syringe Exchange Programs in Georgia. Tbilisi: UNAIDS Georgia.
- <http://www.emcdda.europa.eu/publications/methods/pdu-overview>
- [www.espad.org](http://www.espad.org)
- [WWW.GEOSTAT.GE](http://WWW.GEOSTAT.GE). 2012. Tbilisi: National Statistics Office of Georgia. Available: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) [Accessed 2012].
- [WWW.MATSNE.GOV](http://WWW.MATSNE.GOV), G. L. B. 2012. *Ministry of Labour, Health and Social Affairs budget for State Narcomania Program* [Online]. Tbilisi. Available: [www.matsne.gov](http://www.matsne.gov) [Accessed 2012].
- <http://www.prisonstudies.org/>

# **DRUG SITUATION IN GEORGIA**

# **2012**

## **ANNUAL REPORT**

*The Annual Report is published with the support from The Foundation  
“Global Initiative on Psychiatry – Tbilisi” (GIP-Tbilisi) in the frame of  
“Transition in the East Alliance Program” funded by Dutch government*

## **Authors**

**Darejan J. Javakhishvili**, Foundation Global Initiative on Psychiatry - Tbilisi, Ilia State University, Tbilisi

**Nino Balanchivadze**, Addiction Research Centre, Alternative Georgia, Tbilisi

**Irma Kirtadze**, M.D., Addiction Research Centre, Alternative Georgia, Tbilisi

**Lela Sturua**, M.D., Ph.D., MPH, Non-Communicable Diseases Department, National Centre for Disease Control and Public Health, Tbilisi

**David Otiashvili**, M.D., Addiction Research Centre, Alternative Georgia, Tbilisi; Department of Addictology, First Faculty of Medicine, Charles University in Prague and General University Hospital in Prague

**Tomas Zabransky**, M.D., Ph.D. Department of Addictology, First Faculty of Medicine, Charles University in Prague and General University Hospital in Prague

## **Acknowledgements:**

The authors of the report would like to express deep gratitude to the national and international governmental and non-governmental agencies and organizations which cooperated and contributed to the report:

Ministry of Labour, Health and Social Affairs

National Centre for Disease Control

The Centre for Mental Health and Prevention of Addiction

Ministry of Justice

Levan Samkharauli National Forensics Bureau

Supreme Court of Georgia

Information Centre of the Ministry of Internal Affairs

UNODC Project Office in Georgia

Georgian HIV Prevention Project

Georgian Harm Reduction Network and its member organizations

NGOs: Public Union "Bemoni", Information and Medical-psychological centre "Tanadgoma", Centre "Uranti"

*The content of this publication does not necessarily reflect the official opinion of (Republic of) Georgia and should be seen as the product of the work of its authors.*

The annual report is published with the support from the Foundation Global Initiative on Psychiatry – Tbilisi (GIP-Tbilisi), in the frame of *Transition in the East* Program funded by Dutch Government

**Designer:** George Bagrationi

**ISBN: 978-9941-0-5129-5**

Tbilisi, 2012

## CONTENTS:

1. Country Information.....	4
2. Drug Use among the General Population (and Young People) .....	4
2.1. General Population .....	4
2.2. School Population .....	5
3. Problem Drug Use .....	6
3.1. Prevalence of Problem Drug Use.....	6
3.2. Trends per Drug (specific substances) .....	6
3.3. Problem Drug Use in Special Populations .....	7
4. Drug-related Infectious Diseases.....	8
4.1. HIV/AIDS .....	8
4.2. Viral hepatitis .....	10
